საქართველოს რესპუბლიკა

ოთხშაბათი, 2 თებერვალი, 2005 წელი. №25 (5058) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

◎ გუშინ

ტერორისტული აქტი შუაგულ გორში

ახლა სად, არ იკითხავთ? ქალაქის ცენტრში, დღისით, პოლიციის სამხარეო მთავარი სამმართველოს წინ

ძლიერმა აფეთქების ხმამ ქალაქი შეაშაფთხა. პოლიციის შენობასთან მდგარი „ჟიგული“ აფეთქდა და შავი კვამლიც ცაში ავარდა. ერთ წამში მანქანა ჯართის გროვად იქცა. აფეთქება იქვე სხვა მანქანებსაც მისწვდა, ახლომახლო შენობებს ხომ – პოლიციის მთავარ სამმართველოს, რაიონულ საავადმყოფოს და განსაკუთრებით მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს აღარც ფანჯრები შეარჩინა და აღარც კარები.

ადგილზე დაღუპულები საკაცეებით საავადმყოფოში გადაჰქონდათ, ორმოცაადგილიან ქუჩაზე ძირფესვიანად მოთხრილი უმარმაშარი ხეები ეყარა. ცნობისმოყვარე ხალხს, იქაურობას რომ მიაწყდა, პოლიცია ეპიცენტრში არ უშვებდა, თან მეგაფონით აფრთხილებდა – ახლოს ნუ მიდიხართ, შესაძლოა, სხვა კიდევ რამეა დანაღმულიო.

აფეთქების ვერსიები და ეჭვები ბევრია, ჭეშმარიტებისკენ მიმავალი ვერსია კი – ერთი. სამართალდამცავები ახლა ამ ერთი ვერსიის დადგენაზე მუშაობენ.

* * *

სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე გორში, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის შენობის წინ მომხდარ აფეთქებას ტერაქტის კვალიფიკაციას აძლევს.

„ეს არის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქმედება“, – განაცხადა ბარამიძემ.

* * *

გორში ჩასული საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის შენობასთან მომხდარ აფეთქებას ტერაქტის კვალიფიკაციას აძლევს.

ოქრუაშვილის განცხადებით, ტერაქტი იმ ადამიანების მოწყობილია, რომელთაც არ აწყობთ საქართველოს ერთიანობა და ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნება. თავდაცვის მინისტრი კონკრეტულ გვარებს არ ასახელებს, თუმცა, აცხადებს, რომ მათი ვინაობა უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

* * *

ДАДУПУЛОТА რაოდენობა ოფიციალურად არ სახელდება. სხვადასხვა წყაროების დაუშუსტებელი ინფორმაციით, აფეთქების შედეგად გარდაიცვალა სამი ადამიანი. გორის რაიონულ საავადმყოფოში 27 დაშავებულია მოთავსებული. საავადმყოფოს მთავარი ექიმის ალექსანდრე ჩოჩიას განცხადებით, დაჭრილების უმრავლესობის მდგომარეობა უკიდურესად რთულია. მათ მრავლობითი ჭრილობები აქვთ მიღებული. გორში უკვე ჩაყვანილია რეანიმობილები და დაშავებულები თბილისში გადმოჰყავთ. სამი დაშავებული ღუღუშაურის სახელობის სამედიცინო ცენტრში, თვალის კლინიკაში მოათავსეს. ორ დაჭრილს თვალის ოპერაციას გაუკეთებენ, ხოლო ერთს ნეიროქირურგიული ჩარევა დასჭირდება.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის ნიკოლოზ ფრუიძის განცხადებით, 16-მა ადამიანმა გორის საავადმყოფოებსა და პოლიკლინიკებს სიცოცხლისთვის უსაფრთხო ჭრილობებით მიმართა.

გურამ პავლიაშვილი,
„სრ“ საკ. კორ.

ნომერში წაიკითხავთ:

დაუმსახურებელი პანღური დამსახურებულ პოლიციელებს

მინისაკენ ნააიჯით იარ!

ამას წინათ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პენსიონერთა, პოლიციელთა და მათი ოჯახების ინტერესების დამცველთა კავშირის „დირსების“ ორგანიზაციის თავმჯდომარემ თემურ კოგოლაშვილმა ხელისუფლებისგან განაწყენებულ ვეტერან პოლიციელებთან ერთად პრესკონფერენცია გამართა.

მე-3 გვ.

◎ უკანასკნელ საათს

ბოროტმოქმედებმა 80-100 კილოგრამი ტროტილისა და პლასტიკური ასაფეთქებელი ნივთიერების ნარევი გამოიყენეს

ქალაქ გორში შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის შენობის წინ განხორციელებული ტერაქტისთვის, ბოროტმოქმედებმა 80-100 კილოგრამი ტროტილისა და პლასტიკური ნივთიერების ნარევი გამოიყენეს. ამის შესახებ გუშინ გორში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა.

მოწყობილობა „ვაზ-21011“ მარკის ავტომანქანაში იყო ჩამონტაჟებული. მისი მფლობელი დადგენილია და ამჟამად ზუსტდება, თუ ვის შეეძლო გამოეყენებინა აღნიშნული ავტომანქანა ტერაქტისთვის.

აფეთქების ადგილას ექსპერტები მუშაობას განაგრძობენ. გორში ჩასული საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა მინისტრები და გენერალური პროკურორი საგანგებო თათბირს მართავენ.

ამ დროისთვის დადგენილია დაღუპულ პოლიციელთა ვინაობა. ტერაქტს ემსხვერპლნენ გიორგი მთვარელაძე, სოსო მინდიაშვილი და თამაზ იაკობიძე. აფეთქების შედეგად 27 ადამიანი დაშავდა, მათ შორის 7 ქალბატონია. 16 ადამიანი მსუბუქად არის დაშავებული. 3 დაშავებული კი რეანიმობილებით თბილისში გადმოიყვანეს.

◎ პრეზიდენტი

„ჩვენ ვეღარავინ დაგვაჩოქებს“,

– განაცხადა გუშინ გამართული ეროვნული უშიშროების საბჭოს შემდეგ პრეზიდენტმა, რომელმაც განხორციელებული ტერაქტის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს სამძიმარი გამოუცხადა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გორში განხორციელებულ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით აღნიშნა:

– დღეს გორში დაგრიალდა ტრაგედია, დაიღუნენ უდანაშაულო ადამიანები. ჩვენ მომხდარს ერთმნიშვნელოვნად განვიხილავთ როგორც პოლიტიკური მიმართულების მქონე ტერორისტულ აქტს, რომელსაც აქვს ძალიან შორსმიმავალი მიზნები.

საქართველოში მიდის ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი პროცესები. ქართულმა რევოლუციამ გამოიწვია გლობალური პროცესების სულ სხვანაირად წარმართვა. ახლა მე ვიყავი დავოსში, სადაც კიდევ ერთხელ დადასტურდა, რამხელა წინსვლა აქვს საქართველოს რეპუტაციის, საერთაშორისო ავტორიტეტისა და საერთაშორისო მხარდაჭერის კუთხით. ქართულმა რევოლუციამ გამოიწვია ის, რომ გათავისუფლების პროცესები გაგრძელდა სხვა ქვეყნებსა და სხვა რეგიონებში. ჩვენ ბოლო თვეებში დავამტკიცეთ, რომ ყველანაირი ხელისშეშლის მიუხედავად, სასაზღვრო ბლოკადების, შინაარსლილობის გამოწვევების მცდელობების მიუხედავად, საქართველო დამლილი, გაუბედურებული ქვეყნიდან, რაც ერთი წლის წინათ იყო (ვისაც მახსოვრობა აქვს, ყველა გაიხსენებს, რა მდგომარეობაში ვიყავით ჩვენ ერთ წელაწადზე ცოტა ხნის წინათ), გახდა სახელმწიფო. სახელმწიფო, რომელსაც აქვს თავისი სამსახურები, რომელსაც გაუჩნდა პირველად შეიარაღებული ძალები, გაუჩნდა ნორმალური პოლიცია, ამჟამად ჩვენ ვაკონტროლებთ სიტუაციას. ამ პერიოდში შემოვიერთეთ ასევე აჭარა, შევძელით წესრიგის დამყარება და მსხვილმასშტაბიანი კრიმინალური ბანდების განიარაღება. ძალიან აეწვათ კუჭი ზოგიერთებს, რომელთაც ეს ყველაზე საშინელ სიზმარშიც კი ვერ წარმოედგინათ.

მე მინდა, ვთქვა, – ის, რაც დღეს გორში მოხდა, არის იმ ძალების მიერ პროვოცირებული, რომელთაც ძალიან არ უნდათ, რომ საქართველო განვითარდეს და გაძლიერდეს.

მე მინდა, ჩემმა თანამოქალაქეებმა ყურადღებით მომისმინონ: ჩვენ ყოველდღე ვძლიერდებით, ჩვენ ყოველდღე ჩვენს სახელმწიფო სტრუქტურებს განვამტკიცებთ, ყოველდღე რაღაც ახალი პოზიტიური არის ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში და ეს ცვლილებები გარდაუვლად მიგვიყვანს იქამდე, რომ ჩვენ შევძლებთ ქვეყნის იმ დონემდე გაძლიერებას, როცა შესაძლებელი გახდება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, რაც მე ძალიან მსურს, მშვიდობიანი გზით აღდგენა. მაგრამ ეს ასევე იცის ჩვენმა მტერმა, რომელიც ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საქართველო ამ დონემდე არ განვითარდეს. მან იცის, რომ დრო ჩვენზე მუშაობს.

იხ. მე-2 გვ.

◎ ინფორმაცია

რუსეთისა და ამერიკის ელჩები ეხმაურებიან

რუსეთის ელჩი საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილი გმობს გორში განხორციელებულ ტერორისტულ აქტს.

როგორც ჩხიკვიშვილმა სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ ისრაელის საელჩოს მიერ გამართულ მიღებაზე ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, გორში მომხდარი შემთხვევა კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ როგორი დაუცველები არიან ადამიანები ტერორიზმის წინაშე.

ტერორისტულ აქტს გმობს ამერიკის ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი. მისი განცხადებით, ტერორიზმი ყველა ქვეყანამ ერთნაირად უნდა დაგმოს. ამასთანავე, მაილსმა აღნიშნა, რომ გორში მომხდარი ტერორისტული აქტის შესახებ საქართველოში აკრედიტებულმა საელჩოებმა თავის მთავრობებს აცნობეს.

სტრასბურგში გასცხადებულ სამშვიდობო ინიციატივას უკავშირდება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გორში განხორციელებულ ტერაქტს პრეზიდენტის მიერ გასულ კვირას სტრასბურგში გაცხადებულ სამშვიდობო ინიციატივას უკავშირებს, რომელიც ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებას ისახავს მიზნად.

როგორც საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, ტერაქტი სავარაუდოდ საქართველოს საზღვრებს გარეთ დაიგეგმა.

ამასთანავე, სალომე ზურაბიშვილს აუცილებლად მიაჩნია რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის განსაკუთრებულად და გაძლიერებულად დაცვა.

მინისტრის თქმით, ხუთშაბათს იგი საქართველოს მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებს შეხვდება, რომლებსაც საზღვრის აღნიშნული მონაკვეთის დაცვის მონიტორინგში დახმარებას სთხოვს.

დახმარება დაღუპული პოლიციელის ოჯახს

გუშინდლის რაიონის სოფელ შამგონასთან აფხაზი კრიმინალების მიერ მოკლული ქართველი პოლიციელის ვიგალი დარასელიას ოჯახი 1 თებერვალს სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულმა გიგი უგულავამ მოინახულა. მან ოჯახის წევრებს ერთჯერადი დახმარების სახით 10 წლის გაორმაგებული ხელფასი – 24 ათასი ლარი გადასცა. მათვე ყოველთვიური პენსია დაენიშნებათ.

ჯარიმა და ასეთი?

ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის დაგაცება ამიერიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დაიჯება.

გუშინ ძალაში შევიდა კანონი „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია ჯარიმები ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის დაგაცების ფაქტებზე. კერძოდ, 600 ლარით დაჯარიმდებიან ფიზიკური პირები, რომლებიც ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის დაგაცებაში პირველად იქნებიან მხილებულები, იურიდიული პირებისათვის კი ჯარიმა 5000 ლარი იქნება.

ფიზიკური პირების მიერ განმეორებით ჩადენილი ანალოგიური ქმედებისთვის ჯარიმა 1200 ლარამდე იზრდება, ხოლო იურიდიული პირები 15.000 ლარით დაჯარიმდებიან.

ინტერ-პრესი.

ამინდი დღეს, 2 თებერვალს

დასავლეთ საქართველოში – ღრუბლიანი ამინდი, დამით უმეტეს, დღისით ზოგიერთ რაიონში ნალექი, მთაში თოვლის სახით, ცვალებადი მიმართულების ქარი 8-13 მ/წმ. ჰაერის ტემპერატურა: დაბლობში დამით +1°, დღისით +8°, მთაში დამით -4°, დღისით +2°, მაღალმთაში დამით -12°, დღისით -4°.

აღმოსავლეთ საქართველოში – ღრუბლიანი ამინდი, დამით უმეტეს, დღისით ზოგიერთ რაიონში ნალექი, უმეტესად თოვლის სახით, ცვალებადი მიმართულების ქარი 8-13 მ/წმ. ჰაერის ტემპერატურა: ბარში დამით 0°, ზოგან -4°, დღისით +6°, მთაში დამით -4°, დღისით 0°, მაღალმთაში დამით -12°, დღისით -4°.

თბილისში – ღრუბლიანი ამინდი, დროგამოშვებით ნალექი, ცვალებადი მიმართულების 8-13 მ/წმ. ჰაერის ტემპერატურა: დამით 0°, დღისით +6°.

ბათუმი – (წვიმა) დ. +1°, დ. +7°; სოხუმი – (წვიმა) დ. +1°, დ. +7°; ქუთაისი – (წვიმა) დ. +1°, დ. +8°; ონურგეთი – (წვიმა) დ. +1°, დ. +7°, ზესტაფონი – დ. +1°, დ. +6°; რუსთავი – დ. +1°, დ. +7°; ფოთი – (წვიმა) დ. +1°, დ. +7°; მესტია – (თოვლი) დ. -12°, დ. -4°; ვაზიანი (თოვლი) – დ. -14°, დ. -7°; თელავი – დ. -1°, დ. +4°; გორი – (თოვლი) დ. -3°, დ. +3°; ახალციხე (თოვლი) – დ. -4°, დ. 0°; ბორჯომი – (თოვლი) დ. -4°, დ. 0°; ცხინვალი – (თოვლი) დ. -4°, დ. +2°; სამტრედია – დ. +1°, დ. +8°; ზუგდიდი – დ. +1°, დ. +7°; ჭიათურა – დ. +1°, დ. +6°.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საპაკაშვილმა თბილისში მრანდიოზული მშენებლობის წამოწყება გადაწყვიტა

ალექსანდრე იაშვილი,
თბილისი, „იზვესტია“. 1 თებერვალი.

ქალაქის „ხელახლა აშენების“ გეგმები პრეზიდენტმა გაუზიარა თბილისის მერიის, პარლამენტისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, რომლებიც მის რეზიდენციაში შეიკრიბნენ. თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა შეიტყო, რომ ამ გეგმას თუ ვერ შეასრულებს, მას თანამდებობიდან გადადგომა დაემუქრება.

ჭიაბერაშვილს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციაში“, მოუწევს 2005 წლის ნოემბრისთვის თბილისის აეროპორტის რეკონსტრუქციის განხორციელება, საავტომობილო გვირაბის გაყვანა ქალაქის ცენტრში და 1,6 მილიონი კვადრატული მეტრი საგზაო საფარის მოასფალტება. ასევე დაგეგმილია „მეეზოვეთა ინსტიტუტის აღდგენა“, საქართველოში პირველი ცათამბჯენის – 22-სართულიანი სასტუმრო „ივერიის“ დანგრევა, რესპუბლიკის მოედნის რეკონსტრუქცია, რომელსაც თბილისში ბევრი ხუმრობით უწოდებს „ანდროპოვის ყურებს“, და ორი ულტრათანამედროვე ბიზნესცენტრის, „ევროპული დონის“ სამი სკოლის და რამდენიმე უფასო სასადილოს მშენებლობა, რომლებიც ხელმოკლე მოქალაქეებს მოემსახურება.

ცოტა ვინმეს თუ ეპარება ეჭვი იმაში, რომ მერი დაკისრებულ დავალებას პირნათლად შეასრულებს. მით უმეტეს, რომ ასეთი ულტიმატუმი მისთვის პრეზიდენტს პირველად არ წაუყენებია. ჭიაბერაშვილს გასულ წელსაც უნდა დაეტოვებინა პოსტი, თუ ვერ მოახერხებდა გზების შეკეთებას.

ოპოზიცია უკმაყოფილო დარჩა ხელისუფლების ასეთი გეგმების გამო. მან განაცხადა, რომ მერი და მისი მომხრეები „ბრმად ასრულებენ ცენტრალური ხელისუფლების დირექტივებს“. „სამარცხვინოა, როცა სახელმწიფო უფასო სასადილოების რაოდენობის ერთი-ორად გაზრდას წინაგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევენ“, – მიახალა კოლეგებს ოპოზიციური „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენელმა გიორგი მოსიძემ. ლეიბორისტთა ფრაქციამ კი საერთოდ დაგოცა სხდომათა დარბაზი.

ხელისუფლება კი ახალ სიურპრიზებს გვპირდება. მაგალითად, უახლოეს მომავალში ქვეყნის ეროვნული ბანკი თბილისიდან გადავა საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქში – ქუთაისში. იმის წარმოდგენაც კი ძნელია, თუ რა სირთულეებს შეუქმნის ეს ქვეყნის საფინანსო სისტემას.

საქართველოს გადაეცა მორიგი სამხედრო ობიექტი

იური სიმონიანი,
„ნეზავისიმაია გაზეთა“,
1 თებერვალი.

ამერიკამ ამასწინანდელ რუსეთის ჯარების ჯგუფის კუთვნილი თბილისის ტანკშემკეთებელი ქარხანა, რომელიც ერთადერთია სამხრეთ კავკასიაში, ამიერიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკუთრება გახდა. როგორც „ნეზავისიმაია გაზეთას“ განუცხადეს საქართველოს სამხედრო უწყებაში, ამ საწარმოს გადაცემა საქართველოს მხარისთვის განხორციელდა შეთანხმების ფარგლებში, რომელსაც ჯერ კიდევ გასული წლის დამლევს მოაწერეს ხელი რუსეთისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრების მოლაპარაკების შედეგების მიხედვით. მანამდე კი, საქართველოს თავდაცვის ბალანსზე გადაეცა ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის რამდენიმე სამხედრო ქალაქი, ინფრასტრუქტურის ობიექტები, სანატორიუმები.

ქართული მხარისთვის თბილისის ტანკშემკეთებელი ქარხნის გადაცემა უკვე კარგა ხანია იგეგმებოდა, მაგრამ ამის განხორციელებას ხელს უშლიდა ფინანსური დავა. საქმე ის არის, რომ ამ საწარმოს გადასახადების, კომუნალური გადასახდელებისა და სხვათა სახით, საქართველოს სტრუქტურების მიმართ დაუგროვდა მილიონ ლარზე მეტი დავალიანება (დაახლოებით 600 ათასი დოლარი). თავის მხრივ, იქ ხორციელდებოდა ქართული არმიის კუთვნილი ჯავშანტექნიკის შეკეთება, რის გამოც, მას ასევე დაუგროვდა თითქმის 20 ათასამდე დოლარის დავალიანება ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის მიმართ. საბოლოო ანგარიშით, კომპრომისი გამოინახა – რუსეთის მხარემ აღიარა არსებული დავალიანება, მაგრამ საერთო თანხიდან გამოქვითა ის ვალი, რომლის გადახდაც საქართველოს ეკისრებოდა.

საწარმოს ახალმა მესაკუთრემ – საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ – იკისრა შეინარჩუნოს საწარმოს პროფილი და კოლექტივი და არ შეუშალოს ხელი იქ რუსული ჯავშანტექნიკის შეკეთებას. „ჩვენს არმიას ეს ქარხანა, რა თქმა უნდა, სჭირდება, ასე რომ, მისი პროფილის შეცვლაზე ლაპარაკიც კი შედმეტია.

იხ. მე-2 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 25. ოთხშაბათი. 2 თებერვალი. 2005 წელი.

◎ პრეზიდენტი

„ჩვენ ველარავინ დაგვაჩოქებს“,

–განაცხადა გუშინ გამართული ეროვნული უშიშროების საბჭოს შემდეგ პრეზიდენტმა, რომელმაც განხორციელებული ტერაქტის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს სამძიმარი გამოუცხადა

(პირველი გვერდიდან)

მე მინდა, რომ ჩვენ ყველამ გავიგოთ: იმ ხალხს, ვისაც არ უნდა მშვიდობა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივცეთ საშუალება, რომ თავზე მოგვახვიოს თავისი დროის გრაფიკი, თავზე მოგვახვიოს თავისი მოქმედების გეგმა და გადაგვადგმევინოს, ყოველ შემთხვევაში დროზე აღრე, რაიმე მკვეთრი ნაბიჯი, რითაც გამოიწვევს ჩვენთვის გარდაუვალ სიძნელეებს. ასევე უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენ არ უნდა მივცეთ საშუალება მშვიდობის მტრებსა და მოწინააღმდეგეებს ჩაშალონ სამშვიდობო პროცესი და ხელი შეგვიშალონ დაწყებული სამშვიდობო პროცესის მოგვარებაში, რადგან ამ სამშვიდობო პროცესს აქვს დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა და თქვენ, მგონი, ამაში ამ დღეებში ყველანი დარწმუნდით.

ასეთ დროს, როცა ამგვარი უბედურება ხდება, ყველა ერი იცდება იმით, თუ რა რეაქცია აქვს. თუ ჩვენ დავიწყებთ წუწუნს, რაც ჩვენსა და მშვიდობის მტრებს სურთ, თუ ჩვენ მათი შეგვეშინდება, თუ ჩვენ დავიწყებთ ურთიერთგადაბრალებას, ურთიერთდადანაშაულებას, ურთიერთდაჭმას, ეს არის ზუსტად ის, რაც უნდათ ამ ტერაქტების ორგანიზატორებს, და მაშინ ჩვენ ვერ გავექცევით შემდგომ ესკალაციას. და თუ ჩვენ მოვიქცევით ისე, როგორც ასეთ სიტუაციაში იქცევიან ცივილიზებული, დემოკრატიული ერები – გამოვიჩენთ სრულ კონსოლიდაციას, სრულ ერთიანობას, მაშინ ვაჩვენებთ იმ ხალხს, ვისაც უნდა საქართველოში სიტუაციის აფეთქება და ჩვენი პროგრესის შეჩერება, რომ ჩვენ ამის საშუალებას არ მივცემთ, რომ ჩვენ ვართ ერთიანი ერი, ერთ მუშტად შეკრული მრავალეროვანი ხალხი და საზოგადოება, რომელიც ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ საქართველოს ეკონომიკა განვითარდეს, საქართველოს სიძლიერე განმტკიცდეს, საქართველოს ყველა სახელმწიფო სტრუქტურა დაემსგავსოს იმას, რაც აქვს ყველა განვითარებულ ქვეყანას და საქართველოს დამარცხება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდეს და საქართველოში არეულობის შემოტანა ვერავინ შეძლოს.

მე მგონი, დღეს ეს ყველა ჩვენგანის არჩევანია. ამიგომ მე მინდა მოვუწოდო საზოგადოების ყველა წევრს, ყველა პოლიტიკურ ძალას, გამოიჩინოს ერთიანობა ამ ხალხის ქმედებების წინაშე. დავანახოთ მათ, რომ ჩვენი დამშინება შეუძლებელია, საქართველო მუხლებზე აღარასდროს დადგება, ჩვენ ველარავინ დაგვაჩოქებს და ვერასოდეს ვერ დაგვაბრუნებენ 92-93 წლებში. ისინი ვერასოდეს ვერ შეძლებენ შეაჩერონ საქართველოში მშვიდობის პროცესი. საქართველო გახდება წარმატებული ქვეყანა, საქართველოში გაგრძელდება ინვესტიციების შემოსვლა, საქართველოში გაგრძელდება ეკონომიკური ზრდა, საქართველოში გაგრძელდება ჩვენი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების გაძლიერება, რაც ყველასთვის თვალსაჩინოა.

და მაშინ, თუ ჩვენ ყველაფერს ამას გავაკეთებთ ისე, როგორც ეს ჩვენს გეგმებშია, გამოვიჩენთ მოთმინებას, სიმტკიცეს, თანამიმდევრული ნაბიჯების გადადგმის უნარს, ისინი ჩვენ ვერ დაგვამარცხებენ და მე ვიცი, რომ მათი მიზნები ვერ შესრულდება. მაგრამ მინდა თქვენგან მხარდაჭერა და გაგება იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც უკავშირდება ჩვენი ანტიგერორისტული ბრძოლის, ანტიგერორისტული სტრუქტურების, ანტიგერორისტული საკანონმდებლო ბაზის და მთლიანად საზოგადოების გაფრთხილებისა და კონსოლიდაციისაკენ მიმართულ ყველა საჭირო ნაბიჯს.

◎ პოზიცია

პარლამენტი კანონებს ბრმად და ნაუცბათევად არ იღებს

ასეთია დეპუტატ მიხეილ მენთეშაშვილის აზრი

საპარლამენტო წელიწადი მიილია. ჩვეულებრივთან ერთად იყო რიგგარეშე სხდომებიც, საკომიტეტო მოსმენებიც, რისი შედეგიც 400-მდე ახალი კანონპროექტის დამტკიცებაა. პარლამენტართა უმრავლესობა განვლილი საქმიანობით კმაყოფილია. მათში ეჭვს არ იწვევს კანონების ვარგისიანობაც, თუმცა შეტანილმა ზოგიერთმა ცვლილებებმა საზოგადოების ნაწილის უკმაყოფილებაც გამოიწვია. ერთწლიანი საპარლამენტო მუშაობის შესახებ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელს მიხეილ მენთეშაშვილს გავესაუბრეთ.



როგორც უმრავლესობის ყველა წარმომადგენელი, ბატონი მიხეილიც მიიჩნევს, რომ პარლამენტმა კარგად იმუშავა და ქვეყანას აღმავლობისთვის აუცილებელი არაერთი კანონი მისცა. მან გამოკვეთილად ისაუბრა აჭარის სტატუსთან დაკავშირებით და ალნიშნა, რომ ეს საკითხი ხანგრძლივი პერიოდით მოგვარდა ისე, როგორც საქართველოში მცხოვრებ ხალხს სურდა. იგი კმაყოფილია მეტად საინტერესო და საუნივერსიტეტო ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი განათლების შესახებ კანონპროექტის მიღებით და მოხარულია, რომ საშუალება ჰქონდა ხმა მიეცა ამ კანონპროექტისთვის. ამასთან, უმრეცედენტოდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ პარლამენტმა გასამმაგებული ბიუჯეტი დროულად დაამტკიცა. წლის ბოლოს კი, მოკლე დროში, ათეულობით კანონპროექტის დამტკიცებას ასე ხსნის: – მართალია, ამა თუ იმ კანონპროექტის განხილვისას კომიტეტებში დავა მიმდინარეობდა, მაგრამ მთლიანობაში ყველა საკითხი სწრაფად გვარდებოდა, რადგან არსებობს ერთიანი გუნდის განცდა, ძირითადი ხედვა არის ერთიანი, ყველანი ერთ მიზანს – ქვეყნის კეთილდღეობას ვემსახურებით. და ეს ყოველთვის ასე იქნება, როცა კი ქვეყანას სჭირდება. ზოგიერთის ჭორნაა, თითქოს არ გვაინტერესებს რა წერია კანონში და რომელიმე კანონპროექტს ვინმე ბრმად, ნაუცბათევად უჭერს მხარს, ეს გამორიცხულია.

პარლამენტის მუშაობის უარყოფით მხარეებს ბაგონი მიხეილი ამ ეტაპზე ვერ პოულობს და ძირითად პრობლემად მხოლოდ ზოგიერთ დეპუტატს შორის ურთიერთობის მოწესრიგებას, პოლემიკის სგილის დახვეწას მიიჩნევს. დარბაზში ხანდახან მიუღებელია მიმართვის ფორმები, ხშირად საუბარი მიდის არა საკითხის, არამედ პიროვნების გარშემო. როგორც ვიცი, საპარლამენტო დებატებისადმი საზოგადოებასაც არ აქვს დადებითი აზრი. მუშაობისას, ალბათ, გაცილებით მომგებიანი იქნება საუბრისა და მოქცევის აკადემიური სგილი, – მიიჩნევს ბაგონი მიხეილ მენთეშაშვილი.

მართალია, უმრავლესობის წარმომადგენლები დარწმუნებული არიან ნაციონალური მოძრაობის ერთიანობაში, მაგრამ საზოგადოებაში მაინც საუბრობენ დემოკრატებსა და ნაციონალებს შორის არსებულ შიდა დაპირისპირებებზე. ამასთან დაკავშირებით ბაგონი მიხეილი 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდს იხსენებს, როდესაც ის ბურჯანაძე-დემოკრატების საბურთალოს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე იყო, შემდგომი არჩევნებისას კი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მთაწმინდის რაიონის შტაბის უფროსის მოადგილე გახლდათ. აქ ორივე პარტიის წარმომადგენლები ერთად მუშაობდნენ და მათ შორის არავითარი უთანხმოება არ ყოფილა. მისი თქმით, ეს ურთიერთობა დღესაც ნორმალურად, მშვიდად მიმდინარეობს. მისთვის წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება არსებობდეს რაიმე სახის დაპირისპირება, როცა ყველა ერთი პრობლემის გადაჭრაზე მუშაობს, საზოგადოებაში გავრცელებულ ამგვარ ხმებს კი უსაფუძვლოდ მიიჩნევს.

საზოგადოების ნაწილი საპარლამენტო უმრავლესობას, გარკვეული პერიოდის შემდეგ, დაშლას უწინასწარმეტყველებდა, მიიჩნევდნენ, რომ შემდგომში სერიოზული ოპოზიციური ძალა სწორედ აქედან შეიქმნებოდა... დაშლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა წევრებს ნამდვილად კარგავს. თავად უმრავლესობის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ეს ბუნებრივი პროცესია, რომელიც ყოველთვის მიმდინარეობს.

– ამით, არა მგონია, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დასუსტდეს, პირიქით, უმრავლესობის შიგნით კოსსოლიდაციის შეგრძნებამ იმატა. ადამიანები აკეთებენ ისეთ არჩევანს, რომელიც მათ სურთ და სწორად მიაჩნიათ. „წამსვლელთა“ რიცხვი აღარ გაიზრდება, ყოველ შემთხვევაში, დღეს ამის წინაპირობას ვერ ვხედავ, – აცხადებს მიხეილ მენთეშაშვილი.

ბოლოს უმრავლესობის წარმომადგენელთან უკრაინაში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტზე ვისაუბრეთ. ბაგონ მიხეილს უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებზე საერთაშორისო დამკვირვებლის სტატუსით მუშაობა, ძირითადად, მეშახტეებით დასახლებულ ქალაქ ხარცისკში მოუხდა. მისი თქმით, მოსახლეობაში ემოცია დიდი იყო, კვირების მანძილზე თოვლი, ყინვასა და ქარში მყოფი უკრაინელი ხალხისთვის ცენტრალურ მოედანზე ქართული დროშის ფრიალი დიდი სტიმული გახლდათ. ბაგონი მიხეილი სერიოზულ თანადგომად მიიჩნევს ქართველი მუსიკოსების უკრაინაში ვიზიტს და თვლის, რომ მორალური თანადგომა უკრაინას საქართველოდან დიდი ჰქონდა და ეს ყოველმხრივ დაფასდა კიდეც.

ის ფაქტი, რომ მიხეილ მენთეშაშვილი უკრაინიდან ემოციებით დამუხტული ჩამოვიდა, უდავოა. ამას მის ოთახში გაკრული, რა თქმა უნდა, ნარინჯისფერ ფონზე გადაღებული იუშჩენკოს საარჩევნო პლაკატიც დასტურებს.

ლელა ხვადაგიანი.

◎ კანონმდებლები

პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას

გაიმართა პარლამენტის ბიუროს სხდომა, რომელშეც საქართველოს პარლამენტის 2005 წლის საგაზაფხულო სესია გაიხსნა. ბიუროს სხდომას პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ მაჭავარიანი უძღვებოდა.

სხდომის გახსნისთანავე ბიუროს წევრებმა წუთიერი დუმილით პაგივი მიაგეს გორში, სამხარეო პოლიციის შენობასთან მომხდარი აფეთქების დროს დაღუპულთა ხსოვნას. მიხეილ მაჭავარიანმა იმედი გამოთქვა, რომ სამართალდამცავი ორგანოები გაარკვევენ, თუ რა მოხდა და შესაბამის რეაგირებასაც მოახდენენ.

ამის შემდეგ, კანონმდებლებმა პირველი სასესიო კვირის საკარაუდო დღის წესრიგზე ისაუბრეს. ბიუროს წევრებმა, აგრეთვე, ამ კანონპროექტების დღის წესრიგში შეტანის საკითხზეც იმსჯელეს, რომელთა განხილვა საქართველოს მთავრობას 2005 წლის საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების პირველ კვირაში მიაჩნია პრიორიტეტულად.

მიხეილ მაჭავარიანმა ბიუროს წევრებს ახალი საკანონმდებლო ინიციატივებიც გააცნო, რითაც პარლამენტში მათი განხილვის პროცედურა დაიწყო. ამ კვირას კანონპროექტებს კომიტეტები და ფრაქციები განიხილავენ, პარლამენტის პირველი პლენარული სხდომა კი 8 თებერვალს გაიხსნება.

ახალგაზრდებს ჯარი უნდოდა

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა გუშინ „სამოქალაქო სავალდებულო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის პრეზენტაცია მოაწყო. დეუტატებს პროექტი მისმა ავტორებმა – ევროკავშირისა და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა წარუდგინეს.

სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა მოკლედ ისაუბრა კანონპროექტის ძირითად დებულებებზე. მისი თქმით, სამოქალაქო სავალდებულო სამსახური, უბრალოდ, გამოსავალი კი არ იქნება მათთვის, ვისაც სამხედრო სავალდებულო სამსახურის გაკლა არ შეუძლია, არამედ, ამით ისინი განსაკუთრებულ წვლილს შეიგანენ ქვეყნის ეკონომიკურ აღმშენებლობაში.

კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ ცალსახად აღნიშნა, რომ კომიტეტს კანონპროექტის მიმართ მთელი რიგი შენიშვნები აქვს და ამიგომ, მის ავტორებთან, თანამშრომლობა გაგრძელდება.

კომიტეტის წევრებმა ამავე სხდომაზე ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი კანონპროექტებს „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეგანის შესახებ“ და „საქართველოს შინაგანი ჯარების შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოს გაძლაეცა მორიგი სამხედრო ობიექტი

იური სიმონიანი, „ნეზავისიმაია გაზეტა“, 1 თებერვალი.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

(პირველი გვერდიდან)

გარდა ამისა, საწარმოში მუშაობენ მაღალი კლასის პროფესიონალები, და ასეთი კადრების დაკარგვა დაუშვებელი იქნებოდა. ტანკშემკეთებელი ქარხნის ის მუშაკები, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, შეძლებენ აქ მუშაობას, მაგრამ ახლა უკვე – საქართველოსთვის“, – განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ დავით სიხარულიძემ. რაც შეეხება რუსული ჯავშანტექნიკის მომსახურებას, ეს, სავარაუდოდ, განხორციელდება კონკრეტული ერთჯერადი ხელშეკრულებების საფუძველზე.

ერთი სიტყვით, არანაირი პრობლემა არ უნდა შეიქმნას საქართველოსა და რუსეთის სამხედრო უწყებებს შორის, მაგრამ პრობლემები შეიძლება წარმოიქმნას აზერბაიჯანთან ურთიერთობაში. საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ ამ ბოლო ხანებამდე, თბილისში არემონტებდნენ არა მარგო რუსულ და ქართულ ტანკებს, არამედ სომხეთის არმიის ჯავშანტექნიკასაც. ამასთან დაკავშირებით, რამდენიმე წლის წინათ ოფიციალურმა ბაქომ თბილისი დაადანაშაულა იმაში, რომ იგი სამხედრო დახმარებას უწევდა აზერბაიჯანისადმი მტრულად განწყობილ სომხეთს. როცა საქართველოს მხარემ და ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლობამ აზერბაიჯანის არმიას ასეთივე მომსახურების გაწევა შესთავაზა, ბაქო ამ წინადადებას უარით შეხვდა.

რა მოხდება ახლა, როცა საწარმო საქართველოს საკუთრება გახდა? საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ამის თაობაზე რაიმე კომენტარისგან თავი შეიკავეს და მხოლოდ ის აღნიშნეს, რომ ამ თემაზე ლაპარაკი, ჯერჯერობით, ნაადრევია.

ამავე დროს, თვით ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის შტაბს ინფორმაცია თბილისის ტანკშემკეთებელი ქარხნის ცუდი ტექნიკური მდგომარეობის შესახებ არ დაუდასტურებია. „პრობლემა გაზვიადებულია, საქართველოს მხარეს ამის თაობაზე ჩვენთვის არანაირი პრეტენზია არ წამოუყენებია“, – გვითხრა ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის შტაბის წყარომ.

მოამზადა სიმონ კილაკაძემ.

◎ მეორე ყარაბაღი?

ჯავაქი – გადადებული კონფლიქტი

ოფიციალური ერევანი თავს იკავებს იმისგან, რომ რაიმე კომენტარი ან განცხადება გააკეთოს საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებული მდგომარეობის შესახებ, რომელიც სომხებით არის დასახლებული და ჩრდილოეთიდან ესაზღვრება სომხეთს. ამავე დროს კი, ჯავახეთის ყველაზე რადიკალურად განწყობილ მცხოვრებლებს, რომლებიც გაერთიანდნენ „ვირქის“ პარტიაში, აგრეთვე, „დაშნაკცუტიუმის“ ადგილობრივ წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ რეგიონი საქართველოს შემადგენლობაში დროებით იმყოფება და აღრე თუ გვიან სომხეთს შეუერთდება. ფაქტობრივად, სომხეთი სერიოზულად შეიძლება აღმოჩნდეს ყარაბაღის კონფლიქტის მსგავსი ახალი ომის ზღვარზე.

რეგიონის მოსახლეობის პოლიტიკური შეხედულებებიც განსხვავდება: ნაწილი, რომელიც გაერთიანებულია სამცხე-ჯავახეთის სომხური საზოგადოებრივი ორგანიზაციების კავშირში, დროდადრო აკეთებს განცხადებებს ცენტრალური ხელისუფლებისადმი ლოიალური დამოკიდებულების შესახებ. მაგრამ მართლა ასეა სინამდვილეში?

ჯავახეთში იკრძალება სკოლებში სომხეთის ისტორიის სწავლება, სომხურ ეკლესიებს ქართულ ტაძრებად აცხადებენ. როგორც „ანანია შირაკაცის“ უნივერსიტეტის პროექტორმა რაზდან მადოიანმა თქვა, რომელიც თითქმის მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე შეისწავლის ჯავახეთში არსებულ პრობლემებს 140 სომხურ სოფელზე, ეს კი 250-300 ოჯახია, სულ ხუთი ეკლესია მოდის. „ამ ბოლო 14 წლის განმავლობაში არც კათალიკოსი ვერ უწყობს ხელს ნორმალურ ცხოვრებას“.

ეროვნული უშიშროების საკითხებში სომხეთის პრეზიდენტის მრჩეველს გარნიკ ისაგულიანის აზრით, რეგიონში ერთმანეთს შეეჯახა რუსეთ-საქართველოს ინტერესები. „რუსეთის ბაზა, ერთი მხრივ, სომხური მოსახლეობის არსებობის გარანტად რჩება, მაგრამ მეორე მხრივ, ამას, შესაძლოა, დამატებითი საფრთხე შეუქმნას სტაბილურობას ისედაც დაძაბულ რეგიონში. თუ გახსოვთ, 1992 წელს სწორედ რუსეთის მე-12 ბაზა „დაიცვა“ აბაშიძემ, შარშან კი იგი გულგრილად აღევნებდა თვალყურს მოვლენათა განვითარებას და აბაშიძეც იძულებული გახდა, გადახვეწილიყო“, – თქვა ისაგულიანმა. მას მიაჩნია, რომ ჯავახეთის პრობლემას მსოფლიო გაერთიანება უნდა მიუდგეს სომხეთის პოზიციიდან. „წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს რეგიონი გაიბიარებს ნახიჭევანის ბედს, საიდანაც გაასახლეს ყველა სომხეი და საკითხიც ამით ამოიწურა. ჯავახეთი სომხური ეთნოსის ძირძველი სამკვიდროა, და მხოლოდ ასე შეიძლება ამ პრობლემის განხილვა. რაც შეეხება ბაგონ სააკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე, მე ვურჩევდი მას, თავი შეეკავებინა სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევისგან. სომხეთში ხომ არ მსჯელობენ იმაზე, თუ საქართველომ როგორ უნდა გადაჭრას ფაქტობრივად ჩამოშორებული ავტონომიების პრობლემა“, – დაასკვნა ისაგულიანმა.

პოლიგოლოგ ლევონ მელიქ-შახნაზარიანს მიაჩნია, რომ ჯავახეთში შექმნილ ვითარებაზე სომხეთს უფრო მეტად შეუძლია გავლენის მოხდენა, ვიდრე საქართველოს. „ჩვენთვის მთავარია, რომ იქ ცხოვრობენ სომხები, შეზღუდული უფლებების მქონე საქართველოს მოქალაქეები და სომხეთის სახელმწიფო მოღვაწეებმა არ უნდა დახუჭონ თვალი იმაზე, რომ ვითარება უარესდება საქართველოს სომხებით დასახლებულ ამ რეგიონში. ფაქტობრივად, სადღესაოდ ჯავახეთში სეპარეგაციაა და არავის არ უნდა ეგონოს, თითქოს ასეთი მდგომარეობა კიდევ დიდხანს შეიძლება გაგრძელდეს“, – აღნიშნა მან. პოლიტოლოგის თქმით, დღევანდელი ჯავახეთი მოგვაგონებს „1988 წლის ყარაბაღს“ და ამაზე თვალის დახუჭვა დამღუპველი იქნება, უწინარეს ყოვლისა, სომხეთის ავტორიტეტისთვის.

მარიამ სტეფანიანი, „გაზეთა სნგ“. 1 თებერვალი.

ГАЗЕТА СНГ

რაც შეეხება კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში მესამე ძალების ჩარევას, ამის თაობაზე პოლიტოლოგმა შენიშნა, რომ „ეს შეიძლება იყოს რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და თუ ვნებავთ, თვით ავსტრალიაც კი. საქმე ის არის, რომ ჯავახეთი შირაქის პლატის ნაწილია, რომელიც საქართველოს ტერიტორიისგან გამოყოფილია ძნელად მისავალი მთიანი გზებით და მათი გადაკეტვა მხოლოდ რამდენიმე საათის საქმე თუ იქნება. ამიტომ, ნებისმიერ ჩარევას ექნება სამშვიდობო ხასიათი: მოლაპარაკება, რჩევები, შეთანხმება“.

ამავე დროს, საქართველოში მიმდინარე მოვლენები სომხეთის შეშფოთებას უნდა იწვევდეს, თუ გათვითვალისწინებთ, რომ იქ ცხოვრობს თითქმის 500 ათასი სომეხი, დაახლოებით იმდენი, რამდენიც ცხოვრობდა აზერბაიჯანში 1988 წლამდე. დეკლარირებული დემოკრატია ნაკლებად ეხამება რეალობას, რომელიც შეიძლება ასე დაეახასიათოთ: საქართველო – ქართველებისთვის და მასში არ არის ბანდიტების ადგილი“. ისეთი თანაბეჭდილება იქმნება, თითქოს ყველაფერი ბრუნდება ზეიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში, და საქართველოში ქართველების, ბანდიტებისა და დამნაშავეების გარდა სხვა არავინ იყოს. ასეთ მოსაზრებას იზიარებს სომეხთა ნაციონალისტური საბჭოს წარმომადგენელი ედუარდ ენფიაჯიანი, რომელიც ახალციხეშია დაბადებული: ეროვნულ უმცირესობათა მიმართ ყველა ქართველი პოლიტიკოსის პოზიციათა მემკვიდრეობითობა დღეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმას, რომ ჩვენ პასიურად არ უნდა ვადევნებდეთ თვალყურს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, მით უმეტეს იმას, რაც სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ხდება“.

„ახალციხე, რეგიონის ცენტრი, დაახლოებით თანაბრადაა დასახლებული ქართველებით და სომხებით, მაგრამ პროპორციულობა ხელისუფლების სტრუქტურებში არ არის დაცული, რამაც შეუძლებელია არ მოახდინოს გავლენა

⊙ პერსპექტივა

რას მოუტანს „კოლხეთი“ საქართველოს და ფოთს

მალე შეიძლება, მეორე სატვირთო ნავსადგურიც გვქონდეს

ფოთის (ფაზისის) სტრატეგიულ მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ მე-7 საუკუნეში მიუთითებდა სტრაბონი. ჯეროვნად აფასებდა მას მეფის რუსეთიც და 1828 წელს კიდეც გაათავისუფლა იგი ოსმალთა ტყვეობიდან. ამას მოჰყვა იმპერატორ ალექსანდრე II-ის მიერ 1858 წელს ფოთის სავაჭრო ნავსადგურად და ქალაქად გამოცხადება, მერე კი – ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი სანავსადგურო მშენებლობაში.

მას შემდეგ თითქმის საუკუნენახევარმა ჩაიარა და დღეს ეს სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქი კატასტროფის წინაშე დგას: ზღვა ინტენსიურად უტევს ნაპირს და თვალსა და ხელს შუა გვგაცვეს სანაპირო ზოლს, თანაც ისეთს, როგორსაც ბევრი განვითარებული ქვეყანა ინატრებდა. თუ რაგომ აღმოჩნდა ასეთი სამშიშროების წინაშე ქალაქი, ამის შესახებ საკმაოდ უსაუბრიათ სპეციალისტებს და, ალბათ, მკითხველთათვის მათი მოსაზრებების განმეორება მოსაწყენიც იქნება, მაგრამ ფაქტი ერთია: დიდი კუნძულისა და, მთლიანად, ქალაქის ტერიტორიაზე შექმნილია მძიმე მელიორაციული მდგომარეობა, რაც ფოთის ბუნებრივი კლიმატიდან გამომდინარე, სერიოზულ სიძნელეებს უქმნის ქალაქის მოსახლეობას. სრულად არ არის გამოყენებული ნიკოლაძისეული გენგეგმა. დიდი ნიკო წერდა: „სანამ ფოთში პორტი არ გაიმართება, მისი მომავალი ყინულზეა დაწერილი“. – ასეთი მიდგომები, პრიორიტეტების ძიება უნდა გაგრძელდეს. უნდა გადავარჩინოთ ქალაქის სანაპირო ზოლი. და გლობალურ საგრანსპორტო პროგრამებს მომზადებული უნდა შევხვდეთ. ორივე საკითხს ერთდროულად წყვეტს ახალი ნავსადგურის მშენებლობა, რომლის იდეაც ამ ხუთიოდე წლის წინათ წარმოიშვა, მაგრამ ვერ განხორციელდა. ახლა კი, როგორც გაირკვა, ეს პროექტი რეალიზებასთან ახლოსაა და სწორედ, სიგუაციაში გარკვევის მიზნით ვესაუბრეთ ცნობილ ბიზნესმენს, ფოთის საპატიო მოქალაქეს, სააქციო საზოგადოება „ფოთის ნავსადგურ „კოლხეთის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს შოთა მეგრელიშვილს. საქმე ის გახლავთ, რომ სწორედ, ბატონი შოთა იყო ამ იდეის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და დღესაც მისი უდიდესი ძალისხმევეთ წამოიწია აღნიშნულმა პროექტმა წინა პლანზე.

შოთა მეგრელიშვილი.

– ბატონო შოთა, ახალი ნავსადგურის მშენებლობა ქალაქსა და ქვეყანას რომ სასიკეთოდ წაადგება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. როდის გაჩნდა ეს იდეა და თქვენ როგორ აღმოჩნდით ამ იდეის სათავეში?

– 1998 წელს ფოთის მერიის გადაწყვეტილებით, შეიქმნა ქალაქის ეკონომიკური ზრდისა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების საინიციატივო ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელად მე ამირჩიეს. ჩატარდა გარკვეული სამუშაოები, მომდევნო წელს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად დაფუძნდა სააქციო საზოგადოება „კოლხეთი“, რომლის თავმჯდომარედ, როგორც საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი, კვლავ მე ამირჩიეს, მოადგილედ კი – გერმანიის მოქალაქე, ინვესტორი და დამფუძნებელი ვოლფგანგ შრიკე. საინიციატივო ჯგუფის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად გამოიკვეთა ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში ურთულესი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტის მიზნით ყოფილმა პრეზიდენტმა 1999 წელს გამოსცა №1388 განკარგულება, რომელიც ითვალისწინებდა ფოთში დიდი კუნძულის უბანში ნაპირსამაგრ სამუშაოებს, ინფრასტრუქტურის მოწყობასა და ახალი ნავსადგურის მშენებლობას.

– იმ დროიდან საკმაო დროა გასული. რამ შეგიშალათ ხელი?

– არცთუ ისე იოლი აღმოჩნდა ასეთი გლობალური პროექტის დაფინანსების წყაროს მოძიება. თანაც, არასახარბიელოდ გამოვიყურებოდით ინვესტორთა თვალში. კორუფციის მაღალი დონე, არასტაბილური საინვესტიციო გარემო აფრთხობდა მათ. ხშირად ბოლომდე მიყვანილი საქმე გვეშლებოდა და ყველაფერი თავიდან გვქონდა დასაწყები.

– ახლა რა შეიცვალა?

– ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოსადმი ინვესტორების დამოკიდებულება საგრძნობლად შეიცვალა. ერთდროულად ბევრმა გამოთქვა ჩვენთან ბიზნესწარმოების სურვილი. ესენი არიან გერმანელები, თურქები, ებრაელები... ამ დღეებში ჩემთან იყვნენ ბიზნესმენები შუა აზიიდანაც. ამას წინათ „სს კოლხეთის“ ხელმძღვანელებს გერმანელ, ბრიგანელ, დანიელ ბიზნესმენებთან ერთად შეხვედრა გვქონდა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, რომელმაც მაღლობა მოახსენა ინვესტორებს და აღნიშნა (შეეცდები შუსგად გადმოგცეთ მისი ნათქვამი): „მე ჯერ რეგიონებისთვის ვერ მოვიცალე, მაგრამ ჩემი ოცნებაა, იქაც რაც შეიძლება მალე დაიწყოს აღმშენებლობითი პროცესები და თუ ეს ფოთიდან დაიწყება, დიდად მოხარული ვიქნები. დიდი კუნძულის ნაპირსამაგრი სამუშაოებისა და ფოთში ახალი ნავსადგურის მშენებლობის პროექტი ჩემთვის ცნობილი იყო და მის განხორციელებას ყოველმხრივ მხარს დავუჭერ“. პრეზიდენტი ესაუბრა პრემიერ-მინისტრს, რომელსაც მეორე დღესვე შევხვდით. „შესანიშნავი პროექტია, მხარს ვუჭერ მის განხორციელებას და თუ რამე დახმარება ჭჭირდებათ, ყველაფრისთვის მზად ვარ, – განაცხადა ჩვენთან და უცხოელ ინვესტორებთან შეხვედრისას ბაგრატიონ გზრაბ ქვანიამ.

შეხვედრა გვქონდა ეკონომიკური განვითარების მაშინდელ მინისტრთან, ბაგონ კახა ბენდელიანთან და მის მოადგილესთან, ქალბატონ ნათია თურნავასთანაც: „მე ვიცი, რა დიდი მნიშვნელობისაა ეს პროექტი. ის როგორც ფოთს, ასევე, ქვეყანასაც უდიდეს სარგებელს მოუტანს როგორც საბიუჯეტო თვალსაზრისით, ასევე – სოციალური ინფრასტრუქტურის პრობლემების გადაწყვეტაში, – ასეთი შეფასება მისცა ექს-მინისტრმა.

– ბატონო შოთა, ქვეყნის პირველი პირების მხარდაჭერა გასაგებია, მაგრამ საინტერესოა, თვითონ ინვესტორები რას ფიქრობენ?

– ამას წინათ მოვიწვიეთ აქციონერთა კრება ინვესტორთა მონაწილეობით, სადაც უმწვავესი შეფასება მიეცა დაფინანსებაში არსებულ სერიოზულ შეფერხებებს. ინვესტორებმა გამოხატეს სრული მზადყოფნა და აღუთქვეს კრებას, რომ უმოკლეს დროში დაიწყება დაფინანსება, რომლის დასტურად, ხუთ დღეში გამოგზავნეს იურისტები, რომლებმაც მონიტორინგი განახორციელეს სს „კოლხეთის“ საქმიანობაზე 1999 წლიდან მოყოლებული დღემდე. ბუნებრივია, ისინი ფრთხილობენ, არკვევენ, თუ როგორ იურიდიულ-სამართლებრივ ბაზას ეყრდნობოდა „კოლხეთის“ დღემდე გაწეული საქმიანობა, მაგრამ როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, შეფასებები დადებითია. ახლა ველოდებით სათანადო აქტს და შემდგომ უკვე – დაფინანსებას. აუცილებლობიდან გამომდინარე, „კოლხეთი“ ნაყოფიერად თანამშრომლობს საქართველოს შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან. ამჟამად პროექტი მოწონებული აქვთ ქვეყნის 7 სამინისტროსა და შესაბამის უწყებებს. ვფიქრობთ, მათი ჩამოთვლა აუცილებელი არაა.

– ყველაფერი ეს ძალიან კარგია, მაგრამ, ალბათ, უფრო საინტერესოა, თუ რას ითვალისწინებს კონკრეტული პროექტი.

– ღღევანდელი მოთხოვნილების შესაბამისად, აღნიშნული პროექტი განიხილება როგორც „ტრასეკას“ პროგრამის შემადგენელი ნაწილი. თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებით ახალი ნავსადგურის მშენებლობა ხელს შეუწყობს საგრანსპორტო გვიროგადაზიდვების მნიშვნელოვან ზრდას, იმის გამო, რომ ახალ ნავსადგურში შემოვა ყველა წყალწყვის დიდგონიანი ვემები, კონტეინერმზიდები, რომლებსაც დღეს ვერ ღებულობენ საქართველოში არსებული ნავსადგურები. შედეგად, გაიაფდება გადაზიდვის ტარიფები, მოიზიდავს გვირთმფლობელებს, როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე – უცხოეთისა, რაც შესამჩნევად გაზრდის გვირთბრუნვას. ყოველივე ამის პირობებს კი ქმნის ახალი ნავსადგურის აკვატორიაში არსებული ბუნებრივი სიღრმეები.

– რა დონის ინვესტიციებშია საუბარი?

– მთლიანად ნავსადგურ „კოლხეთის“ (ასე ერქმევა მას) მშენებლობისთვის ბიზნესგეგმით გათვალისწინებულია 286 მილიონი აშშ დოლარი. აქედან ქალაქის დიდი კუნძულის უბნის ნაპირდაცვას, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდება 70 მილიონი, ანუ მთლიანი თანხის 25 პროცენტი. აღნიშნული პროექტი ქალაქის ხვალინდელ დღეს უკავშირდება როგორც ეკონომიკურად, ასევე ეკოლოგიურადაც.

– ბატონო შოთა, ჩვენ გავეცანით ადამიანის უფლებების დაცვისა და ანტიკორუფციული კავშირის ფოთის ფილიალის ბეჭდვითი ორგანის საინფორმაციო ბიულეტენს. რაგომდაც არასამთავრობოებს ახალი ნავსადგურის მშენებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ აქვთ დაყენებული და მას მითს უწოდებენ.

– სხვათა შორის, არასამთავრობეები იმ ბიულეტენში მე მოხოვენ, საჯარო გაეხადოთ ჩვენი პოზიცია. ვფიქრობ, ჩვენი საუბარიც სწორედ საჯაროობის დადასტურებაა და თუ ვინმეს უფრო კონკრეტული ინფორმაცია აინტერესებს, მათთვის ჩვენი კარი ყოველთვის ღია იყო და მომავალშიც ასე იქნება.

ალბათ, დადგება დრო, როცა ფოთი გაუგოლდება დიდ საპორტო ქალაქებს და ნიკოლაძის ოცნებაც ახდება – „იგი ოღესღაც აჯობებს ოღესასაც“.

ზურაბ აბრალავა,
„სრ“ სპეც. კორ.

P. S. **27 იანვარს საქართველოში გერმანიიდან ჩამოვიდა საფინანსო-საინვესტიციო ჯგუფი. სასტუმრო „მარიოტში“ გაიმართა მორიგი საქმიანი შეხვედრა. ღმერთმა ქნას, ეს დიდი წამოწყება წარმატებით აღსრულდეს.**

ზ. ა.

⊙ ინფორმაცია

შეიქმნა უშიშროების სამინისტროს სალიკვიდაციო კომისია

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სალიკვიდაციო კომისია შეიქმნა. შესაბამის დადგენილებას ხელი პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ მოაწერა.

კომისიას, რომელმაც უშიშროების სამინისტროს სალიკვიდაციო ღონისძიებათა ორგანიზაციული უზრუნველყოფა უნდა განახორციელოს, უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ბათუ ქუთელია უსელმძღვანელებს.

მთავრობის დადგენილების თანახმად, სალიკვიდაციო კომისიამ უშიშროების სამინისტროს ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების, დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების სრული ინვენტარიზაცია და სალიკვიდაციო ბალანსის წარმოდგენა უნდა უზრუნველყოს. საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებმა, სალიკვიდაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე, დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების დამტკიცება უნდა განახორციელონ. კომისიის მიერ მომზადებული წინადადებები განსახილველად საქართველოს მთავრობას წარედგინება.

ეშველება ვითომ თბილისის ტრანსპორტს?

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი თბილისის საქალაქო ტრანსპორტის სისტემის რეაბილიტაციისთვის 5 მილიონ 500 ათასი ევროს ოდენობის ექვსწლიან შეღავათიან კრედიტს გამოყოფს.

ბანკის წარმომადგენლები გუშინ თბილისის მერს ზურაბ ჭიაბერაშვილს შეხვდნენ. როგორც

შეხვედრის შემდეგ ზურაბ ჭიაბერაშვილმა განაცხადა, გამოყოფილი კრედიტით, მიმდინარე წლის მაისში დედაქალაქისთვის 150-200 ავტობუსის შეძენა იგეგმება. თბილისის მთავრობა უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს ჰოლანდიური და უკრაინული წარმოების ავტობუსების შესაძენად.

„ავტოპარკის განახლების შემდეგ დედაქალაქში მიკროავტობუსების რაოდენობა შემცირდება“, – განაცხადა თბილისის მერმა. მისი თქმით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წარმომადგენლები თბილისის მთავრობას საქალაქო მეურნეობის, მეტროპოლიტენისა და წყალმომარაგების სისტემების გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციებსაც გაუწევენ.

დღეს საქართველოს რობერტ სიმონსი ეწვევა

დღეს თბილისს ხუთდღიან სამუშაო ვიზიტად ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში რობერტ სიმონსი ეწვევა.

ვიზიტის ფარგლებში სტუმარი საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან, სახელმწიფო მინისტრ გიორგი ბარამიძესთან, საგარეო საქმეთა მინისტრ სალომე ზურაბიშვილთან და საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის უფროსთან ბათუ ქუთელიასთან გეგმავს შეხვედრებს.

თბილისში რობერტ სიმონსი მონაწილეობას მიიღებს კონფერენციაში თემაზე: „სამხრეთ კავკასია 21-ე საუკუნეში: პრობლემები და პერსპექტივები“.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრისას, მხარეები განიხილავენ საქართველო-ნატოს თანამშრომლობის პერსპექტივებს, საქართველოში მიმდინარე პროცესებს, ევროსტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კადეტებმა საპროტესტო აქცია განაახლეს

გუშინ სახელმწიფო კანცელარიასთან თავდაცვის სამინისტროს მიერ გაუქმებული კადეტთა კორპუსის მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმა საპროტესტო აქცია განაახლეს. კადეტები საქართველოს პრემიერ-მინისტრისგან საკუთარი დანაპირების შესრულებას ითხოვენ.

გასულ ოთხშაბათს, მთავრობის სხდომაზე, ზურაბ ჟვანია კადეტთა კორპუსის აღსაზრდელებსა და მათ მშობლებს დაპირდა, რომ კადეტებს მიმდინარე წელს სასწავლო პროცესის დასრულების საშუალება მიეცემოდათ. მომავალი წლიდან კი, კადეტთა კორპუსის აღსაზრდელები სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში უნდა გადაენაწილებინათ. როგორც კადეტები და მათი მშობლები აცხადებენ, ისინი სრულ გაურკვევლობაში არიან და ხელისუფლებისგან კონკრეტული პასუხის მიღებას ვერ ახერხებენ.

ქუთაისის პოლიციამ უკვე სამი ხელმძღვანელი გამოიცვალა

იმერეთის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის გიორგი კაჭარავას გადაწყვეტილებით, ქუთაისის პოლიციის უფროსი რომან მამრიკიშვილი თერჯოლის შს რაიონული განყოფილების ხელმძღვანელად დაინიშნა. ქუთაისის პოლიციის უფროსის პოსტზე მან ერთი თვე დაჰყო. ქუთაისის პოლიციის უფროსად ჯიმშერ ფანჩულიძე დაინიშნა. 35 წლის ფანჩულიძე პოლიციის სისტემაში 1992 წლიდან მუშაობს.

როგორც „ინტერ-პრესს“ იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა გიორგი კაჭარავამ განუცხადა, მსგავსი საკადრო ცვლილებები სხვა რაიონებშიც იგეგმება. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ქუთაისის პოლიციამ უკვე სამი ხელმძღვანელი გამოიცვალა.

ინტერ-პრესი.

⊙ ფაქტი ჯიუტია!

ვითომ ასე „ყინვაგამძლეა“ პუტინი?

რუსეთის პრესამ ტრაბახის კორიანტელი ჯერ კიდევ მაშინ დაიყენა, როდესაც ვლადიმერ პუტინი მცხუნვარე ბრაზილიაში ჩავიდა და იქაურ ბუღში ამინდისადმი თავისებური, იოლად შემგუებლური ბუნება გამამყლავნა. მერე ამას დაემატა ტრაბახის მეორე კორიანტელი, როდესაც 30-წლიანი დუმილის შემდეგ შარშან რუსეთის ახალგაზელი პრეზიდენტი თურქეთს ესტუმრა. 5 დეკემბერს ანკარაში ყინავდა, თურქეთის პრეზიდენტი ახმედ სეზერი ოფიციალურ ცერემონიაზე სქელი შალის პალტოთი მოვიდა, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი კი თხელი, მსუბუქი კოსტიუმით გამოცხადდა.

ჩვენი პრეზიდენტი, – წერდა „კომსომოლსკაია პრავდა“ 7 დეკემბერს, – ოფიციალურ შესვლრებზეც კი იშვიათად ცხადდება თბილ განსაცმელშიო. და საერთოდ, ყველაზე თბილი ჩასაცმელი, რაც მას აქვს, ესაა ქურთუკი „ალიასკაო“. უფრო მეტიც, მანქანაში ჯდომისას პუტინი ყოველთვის იხდის იმ მსუბუქ კოსტიუმსაც კი, ამიტომაც უკანა მხარე არასოდეს ეჭმუჭნებაო. კი ბატონო, რუსეთის პრეზიდენტის ამტანობასა და კოპწიაობაზე მართლაც შეიძლება საუბარი, მაგრამ მართლა ასე ყინვაგამძლეა ეს ხმელხმელი „კაგებეშნიკი?“

აგერ, სურათი იგალიის პრემიერ სილვიო ბერლუსკონისთან. ბერლუსკონიც თავს იწონებს, – 66 წლისა ვარ, მაგრამ, ჩემი ექიმის თქმით, 40 წლის კაცის ორგანიზმი მაქვსო. ჰოდა, ეს ორივე... ჟურმარილს უზის უთბილეს ქურთუკებშიც და ქუდებშიც. როგორც იტყვიან, ფაქტი ჯიუტია!

სხვათა შორის, ვლადიმერ პუტინი 25 იანვარს ოსვენციმის ყოფილ საკონცენტრაციო ბანაკში ჩავიდა და მისი განთავისუფლების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე სტუმრებსაც და მასპინძლებსაც თბილი, ყურებიანი ქუდითა და გრძელი, სქელი პალტოთი მოევლინა. ასე რომ...

გონდო გულიაშვილი.

⊙ თემის გაგრძელება

დაუმსახურებელი პანღური დამსახურებულ პოლიციელებს

ამას წინათ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პენსიონერთა, პოლიციელთა და მათი ოჯახების ინტერესების დამცველთა კავშირის „ღირსების“ ორგანიზაციის თავმჯდომარემ თემურ კოზოლაშვილმა ხელისუფლებისგან განაწყენებულ ვეტერან პოლიციელებთან ერთად პრესკონფერენცია გამართა.

– დღეს, როგორც არასდროს, ისეა ვეტერანი პოლიციელების ღირსება და უფლებები შელახული. ვისაც კი მოესურვება, ყველა ამ ხალხს ლანძღავს და დაუმსახურებელ შეურაცხყოფას აყენებს. იყო დრო, როცა ყველა ქართულ ოჯახში პოლიციის სადღეგრძელოს სვამდნენ. 9 აპრილს, პოლიცია რომ არა, გაციებით დიდი მსხვერპლი იქნებოდა. ჩვენი უახლესი ისტორიის მანძილზე ქართული პოლიცია ყოველთვის ორ ფრონტზე იბრძოდა – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის 1990-1993 წლებში სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში განუზომელი წვლილი შეიტანა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადმა შემადგენლობამ. მაშინ მრავალი პოლიციელი შეეწირა ომს, ვინ იცის, რამდენი დაიჭრა და დასახიჩრდა. სამწუხაროა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თითქმის არ გაჩნია დოკუმენტური მასალა საბრძოლო მოქმედებებში პოლიციელთა მონაწილეობის შესახებ. ათასობით თანამშრომელმა მიმართა სასამართლოებს და ამ გზით დადგინდა მათი ომში მონაწილეობა, – აღნიშნა თემურ კოზოლაშვილმა. სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე მათ დაუწესდათ კანონით დადგენილი შესაბამისი შეღავათები. მოგვიანებით კი ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტმა შემოიღო ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანობის დამადასტურებელი პლასტიკური ბარათები. ეს მოწმობები მიიღეს ომის მონაწილე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა და პენსიონერებმა.

თუმცა, 2004 წლის ბოლოს საჭვოდ გააქტიურდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი. მისი ხელმძღვანელობა თვლის, რომ ბოლო ხანს გამეფებული კორუფციისა და უპასუხისმგებლობის გამო ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა გაყალბებული საბუთების საფუძველზე აღრიცხვაზე აყვანილი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა რიცხვმა; ამას მოჰყვა მათზე გავრცელებული შეღავათების დაფინანსების ზრდა, ეს კი მძიმე გვირთად დაეწვა ქვეყნის ბიუჯეტს. ამის გამო ვეტერანთა დეპარტამენტმა გადაწყვიტა ვეტერანთა ხელახალი რეგისტრაცია. თუმცა, პოლიციის კანონის 31-ე მუხლის თანახმად, ყველა პოლიციელს და პენსიონერ პოლიციელს მაინც ეკუთვნის ყველა ის შეღავათი, რომელიც ომის ვეტერანზე ვრცელდება, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა

ომინსაკენ ნაბიჯით იარ!

იგი ომის მონაწილე. წლეულს საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტმა სასარჩელო განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოებს და მათ მიერ გამოტანილი ყველა, ათასობით გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

ჩვენ სხვადასხვა დროს რამდენჯერმე მივმართეთ საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, და ყველა შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელებს წინადადებით, – შეწყდეს სხვადასხვა დამამცირებელი ფორმით გამოხატული პოლიციელთა, შინაგან საქმეთა სამინისტროს პენსიონერთა, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დევნა-შევიწროება, დაევალოს საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტს, შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვოს ინფორმაცია იმ პირევნებათა შესახებ, რომელთაც სასამართლოებმა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა იურიდიულად დაუდასტურეს. საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური პირების განცხადება, რომ ომის ვეტერანთა რიცხვის ზრდამ საგრძნობლად დააზარალა ქვეყნის ბიუჯეტი, არასწორია. პოლიციელი და პენსიონერი პოლიციელი, ომში მონაწილეობის მიუხედავად, ყოველგვარ დანამატის გარეშე, მაინც იღებენ ეს შეღავათის იღებს, რაც კანონის 31-ე მუხლშია. შესაბამისად, ბიუჯეტის ხარჯების ზრდას ეს მოვლენა ვერ გამოიწვევდა.

სამწუხაროდ, დღემდე რეაგირება არ მოჰყოლია ჩვენს მოთხოვნებს. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების აბსოლუტური ინერტულობა ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ იძულებულს გვხდის უახლოეს დღეებში მივმართოთ პროტესტის სხვადასხვა ფორმებს, – ბაზგასმით თქვა პოლიციელთა ინტერესების დამცველმა თემურ კოზოლაშვილმა.

პრესკონფერენციაზე ბევრი გაანაყენებული ვეტერანი პოლიციელი გამოვიდა. მათ ისაუბრეს თავიანთ დამსახურებებზე და მათი ოჯახების მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

სამხედრო ძალების ვეტერანი, პოლკოვნიკი **ირაკლი ცინცაძე:** 1995 წელს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ. ეს კანონი ამ ხალხის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი საფუძვლების დაცვას ითვალისწინებს. ყველაფრის იგნორირება მართლაც არ შეიძლება.

ერთ-ერთმა პოლიციის ყოფილმა მაღალჩინოსანმა ილაპარაკა იმ უმადურობაზე, რასაც მათ მიმართ იჩენენ. როდესაც ოქრუაშვილი მოვიდა, იმავე მინისტრად დღეს ყველა ხელმძღვანელ მუშაკს დაგვაწერინეს პაგაკი „ნებაყოფლობით“ გადადგომაზე. ამ ხალხს არც არავინ შეხვედრია, არც არაფერი უკითხავთ, ზოგს საპენსიო ასაკი არც ჰქონდა შესრულებული. იძულებული გახადეს, პენსიაზე გასულიყვნენ. აღრე სახელმწიფო დამსახურებული პენსიონერი პოლიციელების დასაქმებაზე ზრუნავდა. დღეს ეს ხალხი ისე მოიშორეს, რომ არავის ახსოვს მათი არსებობა. მე პირადად ორჯერ ვარ დაჭრილი, კრმინალურ სამყაროსთან ბრძოლაში, სპეცოპერაციების დროს. ერთი რამ მიკვირს, თუ წინა ხელისუფლებაში მუშაობა ჩვენი მოშორების საფუძველია, მაშინ ისიც ხომ უნდა ითქვას, რომ დღეს ძალიან ბევრი ძველი პოლიციელი მუშაობს პასუხსაგებ თანამდებობაზე და ზოგიერთი წარსულშიც არ გამოირჩეოდა თავისი ავტორიტეტით. ასაკის მიუხედავად ისინი მაინც ახერხებენ „ახლებთან“ თანამშრომლობას.

შეხვედრაზე ერთმა სანღომიანმა ინტელიგენტმა, ახალგაზრდა კაცმა მიიქცია ყურადღება. იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ყოფილი უფროსი გამომძიებელი ომარ ელოვანი აღმოჩნდა.

– თუ კანონზე და კონსტიტუციაზეა ლაპარაკი, ვეტერანების რაოდენობა კანონიერად გადამოწმდეს. მათი შემცირება ხელოვნურად არ შეიძლება. ეს არის სწორედ კანონის დარღვევა. შემოწმდეს 1991 წელი, შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა თუ არა ეს ხალხი, ამის დადგენა რთული არ არის. ძალით რაგომ ქმნიან პრობლემებს? სახელმწიფო ვალდებულია, ყველა ადამიანს, პოლიციელი იქნება თუ სხვა პროფესიის, ცხოვრებისთვის მინიმალური საარსებო პირობები შეუქმნას. შეწყლეს ჩვენს მიმართ აგორებული უმადურობა, – აღნიშნა მან.

ამ სიტუაციამ ერთი ძველი ამბავი გამახსენა: თბილისელი გაქსის მძღოლი უფულოდ დარჩენილ მოსკოველ სტუმარს გადაყრია, შეცოდებია და სახლში წაუყვანია, დაუპურებია, გზის ფულიც მიუცია და უკან გუმგზავრებია. იმან კი მაღლობა იმით გადაუხადა, რომ სათანადო ინსტანციაში უჩივლა, შეამოწმეთ, საიდან აქვს ამდენი ფულიო. მერე ამ ფაქტს გაზეთ „ტრუდში“ სტატია მიეძღვნა სათაურით: „ქართული სტუმართმოყვარეობა და რუსული მაღლობა“. ეტყობა, მისი მსგავსი კაცებისგან თუ გადმოიღეს დღევანდელმა მაღალჩინოსნებმა წლების განმავლობაში მუდმივი რისკის ფასად შრომისთვის „მადლობის გადახდის“, უფრო სწორად, წიხლის ამოკვრის წესი.

ნანა სულავა.
ჯავარ ლომაძის ფოტო.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 25, ოთხშაბათი, 2 თებერვალი, 2005 წელი.

◎ შალვა რადიანი – 100

ქართველი ოქტოეტოს პოეტური ძვირფასეული

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირისათვის:

! ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ადგილმდებარეობის მიხედვით შესაბამისი საგადასახადო ინსპექცია);

! ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (საქართველოს ნოტარიუსთა პალატა);

! ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (შესაბამისი სასამართლოდან);

! ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შსს-ს საინფორმაციო ცენტრი);

! საქმიანობასთან დაკავშირებული ლიცენზია, სერგიფიკატი ან ნებართვა;

ფიზიკური პირისათვის:

! ცნობას ქმედითუნარიანობის შესახებ (შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან);

! ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (შესაბამისი სასამართლოდან);

! ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შსს-ს საინფორმაციო ცენტრი);

! საქმიანობასთან დაკავშირებული ლიცენზია, სერგიფიკატი ან ნებართვა;

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაიცლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკვალიფიკაციო მონაცემების განხილვის საფუძველზე დამტკიცდება ტენდერში მონაწილეობისათვის დაშვებულ პრეტენდენტთა სია, მონაცემთა შეფასების კრიტერიუმები და წესი განსაზღვრა საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული 2001 წლის 15 ოქტომბრის დებულების „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ მე-9 მუხლის თანახმად.

8. საგენდერო დოკუმენტაციის გაცემა პრეტენდენტებისათვის იწარმოების ქართულ ენაზე, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის საგენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2005 წლის 7 მარტიდან 2005 წლის 11 მარტის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან).

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მე-8 პუნქტში მითითებულ მისამართზე, საკონტაქტო პირები: **დავით კობახიძე,** ტელ: 93-25-60.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ხულოს რაიონის გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს ავტოსატრანსპორტო ტექნიკის:

1. მუხლუხებიანი ტრაქტორი /DT-75 ტიპის/ 10 ერთეული;
2. გრეიდერი 1 ერთეული;
3. ამწეკრანი 1 ერთეული;

შესასყიდად ვიწვევთ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სასურველი ვადაა: **1 მარტი 2005 წელი.**

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 1 თებერვლიდან 2005 წლის 20 თებერვლამდე შემდეგ მისამართზე:

დაბა ხულო, აბუსერისძე ტბელის ქ. №1. ხულოს რაიონის გამგეობა. ტელ: 8238 7-00-07. 893 36-68-12.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობას სასამართლო და საგადასახადო ორგანოებიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

4.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობას შესაბამისი სამსახურიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

5. ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი ვერ გაიცლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება;

6. ტექნიკის მოწოდება შესაძლებელია ერთეულებში;

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 100 ლარის ოდენობის საგენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ მისამართზე:

ხულო, აბუსერისძე ტბელის ქ. №1. ხულოს რაიონის გამგეობა.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: **ემზარ აბულაძე – მისამართზე, ხულო, აბუსერისძე ტბელის ქ. №1. ხულოს რაიონის გამგეობა. ტელ: 8238 7-00-07, 893 36-68-12, ფაქსი: 8238 7-00-00.**

საგენდერო კომისია.

ოთხშაბათი. 2 თებერვალი

08.00 "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "დღე, როცა დედამიწა კინაღამ დაიღუპა" **11.00** სერ. **"ბედკერძო ლუნა" 12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "კლიფორდი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი **"ბაქსიმო ჩემი სიყვარული" 15.00** "მთავარი" სიმუხურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** რაციო **16.30** "არტე" წარმოგიდგენთ – "საიდუმლო ადგილები"-ხალსის ციხე-სიმაგრე **17.30** ვაკანსია **18.00** "მთავარი" რეგიონებიდან **18.30** სერიალი **"ჯეკ ჯუმსონი" 19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ – **"ბინა იტალიაში" 20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. **"ბედკიდრე ლუნა" 22.00** დოკ. ფილმი "ტერი ჯონსის შუა საუკუნეები" **23.00** ახალი პროექტი **23.30** კინოსამყარო **"ოჯახური ისტორია"** (U) **02.10** საინფ. გამოშვება

19.00 სერიალი **"კარიბის გული"** 1-ლი ს. **19.50** "ბაბილინა" **20.05** სერიალი **"ჩემი საყვარელი ოჯახი" 20.30** სერიალი **"უშიშარნი" 20.55** დოკ. ფილმი "სიკვდილს გადარჩენილნი" **21.45** მონოსპექტაკლი **22.55** კინოსეანსი **"ინდოჩინეთის თოვლი"**

07.30 დილა **08.00** ტელეიპუცები **10.00** სერიალი **"ეალეები და ვარდები" 11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.55** კურიერი **12.20** სერიალი **"ფეფარეფული ალეები" 13.30** მხ. ფილმი **"ბოვალა ბანაკი ცას ბიეგზაკარება"** (U) **15.25** სერ. **"ბეველი ბილზი" 16.30** სერიალი **"ეალეები და ვარდები" 17.25** ტელეიპუცები **18.30** პატრული **18.55** სერიალი **"ნიკიტა" 19.55** სერიალი **"ფეფეარეფული ალეები" 22.00** ფორტ-ბოიარდი **23.00** დოკ. ფილმი "შუასაუკუნოვანი გემის საიდუმლო" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი **"ხელმოწერული ალფრედი"** (U) (პიერ რიშარი) **02.15** პატრული

07.00 სერიალი **"რელიქვიების მაქიბელი" 07.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი **"მოჯადოება" 11.15** სერიალი **"კამინსკია-6" 12.20, 17.10, 02.45** იმედის მელოდიები **12.40, 16.25,** ტპ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი **"ფიფის ბეკეტ"**. 1-ლი ს. (ე. დელონი) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.05** ქრონიკა **15.20** სერიალი **"ოსნეების სანაპირო" 16.40** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.10, 23.45, 04.30** იმედის მელოდიები **17.20** არტ-ბუღალტერი **18.05** სერიალი **"მოჯადოება" 19.55** სერიალი **"ოსნეების სანაპირო" 20.55** სერიალი **"კამინსკია-7" 22.30 ფეხბურთი.** იტალიის ჩემპიონატი. პირდ. რეპ. **00.20** მხ. ფილმი **"ბაძეცეა ელინეს მინდვრებიდან" (15)** (ე. გარსია)

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** ტელეიურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.30** "გეპატიუებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი **"სინიორ ვიანელო" 11.00** "ბაბ დამაცადე" **11.10** სერ. **"ბენტო ვეტრინე" 12.05** კრიმინ. დრამა "CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **13.05** სერიალი **"დიანა და ანაბელ" 14.15** არჩევნების ზღვარზე **15.10** შემოქმედითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.00** მუსიკა **16.05** სერ. **"ველური მთვარე" 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერ. **"ფიფი და ანაბელ" 18.20** "გეპატიუებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერ. **"ბენტო ვეტრინე" 20.45** სერიალი **"სინიორ ვიანელო" 21.45** კრიმინ. დრამა "CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** არჩევნების ზღვარზე **00.00** მხ. ფილმი **"უანანასანელი გაძეცეა" (15)** (არმანდ ასანტე)

11.00 მხ. ფ. **"ცეცხლქვეშ"** (U) **13.00** NEO-TV **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** NEO-TV **19.20** სპეკტრი **21.15** მხ. ფ. **"ეაიცენბერი"** (U) **00.30** NEO-TV

09.00 საინფ. დაიჯესტი **09.20** კომედია **"ციფე-სიმპარგ" 10.50** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** ისტორიული დოკუმენტური **"ბისიე ბ" 13.50** მუსიკა **14.45** მხ. ფილმი **"რეზერვაცია" 16.15** ტულტფილმი **17.45** მუსიკა **18.30** საინფ. გამ. "ნოვოსტი" **18.50** კომედია **"ფეშლილი სიყვარული" 21.00** თრილ. **"ბზის ცრემლები" 23.00** მუსიკა **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** მხ. ფილმი **"ლორენ კანიონი" 01.35** მუსიკა

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ 2005 წლის 26 იანვარს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ განთავსებულ მცირეფასიანი სამზარეულო ინვენტარის შესყიდვის მიზნით ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში შეტანილი იქნას შემდეგი სახის ცვლილება, კერძოდ:

1. გამოცხადებულ 800 ცალი ჭურჭლის სარეცხი ღრუბლის ნაცვლად გვესაჭიროება 400 ცალი.
2. გამოცხადებული 400 ცალი ქვაბის სახეხის (ლითონის) ნაცვლად გვესაჭიროება 200 ცალი.
3. გამოცხადებული 2000 კგ. ჭურჭლის სარეცხი ჟელეს ნაცვლად გვესაჭიროება 1000 კგ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ 2005 წლის 26 იანვარს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ განთავსებულ სპორტული ფორმის, სპორტული ფეხსაცმლის და წაღების (ჩუსტები) შესყიდვის მიზნით ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში შეტანილი იქნას შემდეგი სახის ცვლილება, კერძოდ:

1. გამოცხადებული 1116 წყვილი სპორტული ფეხსაცმლის ნაცვლად გვესაჭიროება 516 წყვილი.
2. გამოცხადებული 1116 კომპლექტი სპორტული ტანსაცმლის ნაცვლად გვესაჭიროება 516 კომპლექტი.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ 2005 წლის 28 იანვარს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ განთავსებულ პირადი ჰიგიენის საგნების შესყიდვის მიზნით ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში შეტანილი იქნას შემდეგი სახის ცვლილება, კერძოდ:

1. გამოცხადებული 11750 კომპლექტი სასაპნის ნაცვლად გვესაჭიროება 11350 კომპლექტი.
2. გამოცხადებული 8000 კგ. ხელის საპნის ნაცვლად გვესაჭიროება 7400 კგ.
3. გამოცხადებული 12000 კგ. საოჯახო საპნის ნაცვლად გვესაჭიროება 10750 კგ.
4. გამოცხადებული 70000 ცალი საპარსი მოწყობილობის (ერთჯერადი) ნაცვლად გვესაჭიროება 67400 ცალი.

მმდლინარეობს შპს **„გაზაფხული-2000“-ის** ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოგვაკითხონ მისამართზე: ალ. ყაზბეგის № 41, ბინა 15.
საგმოგადოების დირექტორი.

УАЗ УАЗ
☑ახალი ავტომობილები „ვილისი“, „სანიტარკა“, „ფურგონები“, სატვირთო ავტომობილები;
☑წინასწარი შეკვეთით.

„УАЗ“-ის ოფიციალური სალარაოვლური ეს „УАЗ“
ეს. კეთილის 7
ცალკე ავტოსალონი
34-60-03; 34-16-50;
899 51-30-49

2005 წლის 14 თებერვალს, 14 საათზე თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში მისამართზე – ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. № 200, დანიშნულია სს „საქაბრეშუმის“ კრედიგორთა კრება.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ი. ბერიშვილი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ბრძანება

24 „ 12 “ 2004 წ. თბილისი № 357/6

სამედიცინო დაწესებულებათა ლიცენზირების პროცესის ოპტიმიზაციის შესახებ

„სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „რ“ პუნქტის და „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტისა და მე-4 მუხლის შესაბამისად, ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 23 მაისის № 119/6 და 2004 წლის 22 იანვრის 18/6 ბრძანებების შესრულების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებულმა ორგანიზაციულმა წარმონაქმნებმა, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები და ახორციელებენ სამედიცინო საქმიანობებს უვადო ლიცენზიების საფუძველზე, 2005 წლის 1 მარტამდე უნდა მიმართონ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტანდარტიზაციის, ნორმირებისა და ლიცენზირების დეპარტამენტს და წარმოადგინონ ყველა ლიცენზირებული სამედიცინო საქმიანობის შესახებ ახალი კანონმდებლობით, კერძოდ „პასპორტით“ გათვალისწინებული დამატებითი დოკუმენტაცია (სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის გარეშე), და იმავე საქმიანობაზე გაცემული ლიცენზია, ლიცენზიის დანართი და სალიცენზიო ბარათები.

2. დაევალოს სტანდარტიზაციის, ნორმირებისა და ლიცენზირების დეპარტამენტს:

ა) ახალ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ლიცენზიის მფლობელთა საინფორმაციო-საკონსულტაციო და ორგანიზაციული უზრუნველყოფა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან ერთად.

ბ) ლიცენზიის მფლობელთაგან შემდეგი სახის დოკუმენტაციის ერთი ეგზემპლარის მიღება, აღრიცხვა, შენახვა:

ბ.ა) ინფორმაცია კადრების შესახებ;

ბ.ბ) ინფორმაცია სამედიცინო-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ;

ბ.გ) ინფორმაცია შენობის შესახებ;

ბ.დ) ინფორმაცია იმ მინიმალური ნოზოლოგიების, გამოკვლევების და სამუშაო მოცულობის შესახებ, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს დაწესებულება კონკრეტულ საქმიანობაზე;

ბ.ე) გაცემული უვადო ლიცენზიების, ლიცენზიის დანართის და სალიცენზიო ბარათის დეფენები;

გ) უზრუნველყოს ახალ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანილ სამედიცინო საქმიანობებზე ახალი სალიცენზიო მოწმობის ფორმების დაბეჭდვა, გაცემა და ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ორგანოსთვის;

3. უზრუნველყონ:

ა) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეგიონალური დეპარტამენტების უფროსებმა უზრუნველყონ ბრძანების დაყვანა ყველა სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელამდე;

ბ) საფინანსო-საბიუჯეტო დეპარტამენტმა (გ. კერვალიშვილი) ბრძანებით გათვალისწინებული პროცედურების უზრუნველყოფა, ხოლო სამინისტროს აპარატმა (ი. ლობჟანიძე) ბრძანებით გათვალისწინებული პროცედურების მატერიალური უზრუნველყოფა;

გ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლის ინსპექციამ (გ. თვალავაძე) ახალი კანონმდებლობით გათვალისწინებული სალიცენზიო პირობების დაცვაზე კონტროლი.

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მინისტრის მოადგილეს ნ. ფრუიძეს.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“.

6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ლადო ჭიკაშვილი.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. №30, მე-4 სართ., №425 ოთახი, ტელ: 387883, სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2005 წლის ასიგნებების ფარგლებში აცხადებს დახურულ ტენდერს საწვავის შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასყიდი საქონლის რაოდენობა და ტიპი:

1. ბენზინი 98 ოქტანობის „სუპერი“ – 11 000 ლიტრი;
2. ბენზინი 95 ოქტანობის „პრემიუმი“ – 43 000 ლიტრი;
3. დიზელის საწვავი – 1 000 ლიტრი

საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად.

მიწოდების ვადაა 2005 წლის მარტიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

ტენდერში მონაწილეობისათვის მოწვეულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 17 თებერვლის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, 0160, კ.გამსახურდიას გამზ. №30, მე-4 სართ., №425 ოთახი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია - სასამართლო ორგანოდან და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა – საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან;

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან;

ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა – სასამართლო ორგანოდან;

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან;

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე – სასამართლო ორგანოდან;

ბ) სასამართლო დადგენილება რეგისტრაციის თაობაზე (ნოტარიულად დამოწმებული ასლის დართვით);

გ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ);

დ) ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბენზინგასამართი სადგურების შესახებ (ადგილმდებარეობის მითითებით);

ე) საგადასახადო დავალიანებები სახელმწიფო ბიუჯეტისადმი (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები);

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეიძლებათ 2005 წლის 24 თებერვლის 16 საათამდე, მისამართზე: თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. №30, მე-4 სართ, №425 ოთახი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო წინადადებები მიიღება ქართულ ენაზე, 2005 წლის 28 თებერვლის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. №30, მე-4 სართ., №425 ოთახი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: შალვა ბალაშვილი, ნათია ოდიშარია, მისამართზე: თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. №30, ოთახი №425, ტელ: 387883, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო აცხადებს კონკურსს

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ა. წ. 25 იანვარს გამოაცხადა კონკურსი საწარმოთა რეგისტრაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრის (CERMA) აღმასრულებელი დირექტორის ვაკანსიაზე.

მინიმალური მოთხოვნები კანდიდატების მიმართ:

(ა) მაგისტრის ხარისხი ბიზნესის მართვაში, ეკონომიკაში, ფინანსებში ან მარკეტინგში.

(ბ) 7-წლიანი გამოცდილება ორგანიზაციის და/ან პროექტების მენეჯმენტში.

(გ) საკონსულტაციო ან აუდიტორული საქმიანობის 4-წლიანი გამოცდილება.

(დ) საერთაშორისო, სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება.

(ე) გარკვეული ბიზნეს, საგანმანათლებლო ან პროფესიული გამოცდილება აშშ, დასავლეთ ევროპის ან სხვა განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში.

(ვ) ქართული, ინგლისური და რუსული ენების სრულფასოვნად ფლობა.

(ზ) თანამედროვე კომპიუტერული აპლიკაციების სრულფასოვნად ფლობა.

აპლიკანტებს ვთხოვთ, ა. წ. 10 თებერვლის 17 სთ-მდე წარმოადგინონ რეზიუმე და მოტივაციის წერილი ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე:

თბილისი, რუსთაველის გამზ. 12, მე-4 სართ., საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, მინისტრის მოადგილის კახა დამენიას მისაღები.

⊙ ინფორმაცია

„თბილგაზი“ სადამსჯელო ღონისძიებებს იწყებს

დედაქალაქის გაზგამანაწილებელმა კომპანია „თბილგაზმა“ გუშინ ურჩი გადამხდელი აბონენტების მიმართ სადამსჯელო ღონისძიებები დაიწყო და დავალიანების მქონე ყველა მომხმარებელს გაზმომარაგებას ინდივიდუალურად შეუწყვეტს.

როგორც „ინტერ-პრესს“ კომპანიაში განუცხადეს, მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის გადაუხდელობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. „მიმდინარე წამთრის განმავლობაში აბონენტებს „თბილგაზის“ მიმართ 4 მილიონი ლარის დავალიანება დაუგროვდათ. „თბილგაზს“ რუსულ „გაზპრომთან“ ვალდებულებები გააჩნია და მიღებული ბუნებრივი აირის საფასური აქვს გადასახდელი“, – განაცხადეს კომპანიაში.

„თბილგაზში“ აღნიშნავენ, რომ აქვთ ტექნიკური საშუალებები, რათა თითოეულ აბონენტს ინდივიდუალურად, მილის გადაჭრის გარეშე შეუწყვიტონ გაზმომარაგება.

„აბონენტებმა, რომლებსაც მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური გადასახდელი აქვთ, ხოლო ვალი – აღიარებული, დავალიანება აუცილებლად უნდა დაფარონ. ასევე, მათ საშუალება აქვთ კომპანიის ბილინგის განყოფილებას დაუკავშირდნენ და ვალის რესტრუქტურიზაციის თაობაზე შეთანხმება გააფორმონ“, – განაცხადეს კომპანიაში.

აბონენტებს შეუძლიათ, „თბილგაზის“ ბილინგის განყოფილებას ტელეფონის ნომერზე – 37-30-17 დაუკავშირდნენ.

„ინტერ-პრესი“.

⊙ მოვლენის შემდეგ

სტუმარ-მასპინძლები კმაყოფილი დარჩნენ

გასულ უქმეებზე თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშებას 12 ათას გულშემატკივართან ერთად უამრავი სტუმარი დაესწრო. მათ შორის გახლდათ ევროპის ძიუდოს ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ბრიგანელი დენზელ უაითი.

– მესამედ ჩამოვედი თბილისის საერთაშორისო ტურნირზე. წლეულს ჩემს გაოცებას საზღვარი არა აქვს, – მითხრა ბატონმა უაითმა. – შარშანდელი შეჯიბრება სალიცენზიო იყო, ამიტომ მონაწილე ქვეყნები და სპორტსმენებიც მეტნი იყვნენ, თუმცა, ამდენი მაყურებელი არ მინახავს. ახლა ქომაგები კიბეებზეც სხედან, ეს ფანტასტიკაა.

შარშან ევროპის ძიუდოს ფედერაციამ კონტინენტიდან ზურაბ ზვიადაური, თქვენი ფედერაცია და მისი პრეზიდენტი დილარ ხაბულიანი გამოარჩია. ახლა კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ არ შევმცარვართ.

– წლეულს მსოფლიო თასის რამდენიმე გათამაშებაა დაგეგმილი. ეს ამ ტურნირის ღირსებას ხომ არ დაანინებს?

– სრულებითაც არა. ვფიქრობ, შეჯიბრებებში მონაწილეობა უფრო პრესტიჟული გახდება.

– ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ თითქმის ძირფესვიანად შეცვალა შეჯიბრების წესები. ძიუდოშიც ხომ არ არის მოსალოდნელი მსგავსი რამ?

– (იცინის) გვითხარით, რომელი წესი არ მოგწონთ და თქვენს რჩევას გავითვალისწინებთ.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ევროპის ძიუდოს ფედერაციის სახელით მადლობა ვუთხრა შეჯიბრების ორგანიზატორებს მსოფლიო თასის ასეთ მაღალ დონეზე გამართვისთვის...

ზურაბ ზვიადაური: ბედნიერი ვარ, რომ თბილისის ტურნირი მოვიგე და ჩემი ქომაგები კიდევ ერთხელ გავახარე. ვეცდები, კარგად დაწყებული სეზონი კარგადვე დავამთავრო.

ზ ვ ი ა დ ა უ რ ი.

– რომელ ორთაბრძოლას გამოყოფდი?

– განსაკუთრებით – ფინალურ შეხვედრას. კარგი მოჭიდავეა ირაკლი ცირეკიძე, სულ მალე იგი თავის სიტყვას იტყვის.

– წლეულს რა გეგმები გაქვს?

– მომავალ შაბათ-კვირას პარიზში მსოფლიო სუპერთასის გათამაშებაზე გამოვალ. შემდეგ კი მსოფლიო ჩემპიონატამდე სპეციალური გეგმით მოვემზადები.

გია ხვიტიშვილი, პარლამენტარი: მართლაც, შესანიშნავი ტურნირი გამოვიდა, ამიტომაც ევროპის ძიუდოს ფედერაციამ ყველაფერი ეაკეთა, რათა დღევანდელი ფინალური ორთაბრძოლები ევროვიზიით ეჩვენებინათ.

ღირსეულ წარმატებას მიაღწიეს ჩვენმა მოჭიდავეებმა. ახლა საქართველოში ძიუდოს ახალი ბუმია. ჩემი ინიციატივით, ქვემო ქართლში ძლიერი კლუბი ჩამოყალიბდება, სექტემბერში კი თეთრი წყაროს სპეციალიზებულ სასპორტო სკოლას გავხსნით, სადაც 300 მოზარდი დაეუფლება ძიუდოს საიდუმლოებებს. საკურორტო ადგილი შევარჩიეთ, წიწვნარში ჩაფლული. მერწმუნეთ, რამდენიმე წელიწადში თვით იაპონელებს გავუწევთ სათანადო კონკურენციას.

შოთა ხაბარელი, ოლიმპიური ჩემპიონი, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი: მახარეს, რომ ევროპის ძიუდოს ფედერაციამ უმაღლესი შეფასება მისცა ჩვენს ტურნირს. ყველაფერი გავიღეთ საამისოდ.

შ ო თ ა ხ ა ბ ა რ ე ლ ი.

– ასეთ შედეგს თუ ელოდით?

– ამდენ ოქროს მედალს არა, მაგრამ გუნდურ პირველ ადგილს რომ დავიკავებდით, ეს არც მეეჭვებოდა – ნაკრების ღირსებას ხომ გამოცდილი სპორტსმენები იცავდნენ – ზვიადაური, ხერგიანი, დავითაშვილი, მამრიკიშვილი, ჯიქურაული. მათ ახალგაზრდებმაც აუბეს მხარი. კარგად იჭიდავა ზაზა კედელაშვილმა, რომელიც, ფაქტობრივად, ეროვნული გუნდის წევრია.

– პარიზის სუპერტურნირში ვინ იასპარეზებს?

– ნესტორ ხერგიანი (60 კგ.), დავით მარგოშვილი, ზაზა კედელაშვილი (66 კგ.), დავით ქევხიშვილი (73 კგ.), გრიგოლ მამრიკიშვილი, ხვიჩა ხუციშვილი (81 კგ.), ზურაბ ზვიადური (90 კგ.), ივერი ჯიქურაული, ლაშა ფეიქრიშვილი (100 კგ.) და ალექსი დავითაშვილი (მძიმე წონა). ვეცდებით, არც საფრანგეთის დედაქალაქში შევირცხვინოთ თავი.

ესაუბრა
ვაჟა დანელია.

⊙ ახალი სეზონი

თებერვალი დადგაო

9 თებერვალს ევროპულ შესარჩევ ჯგუფებში „მუნდიალ-2006“-ის საკვალიფიკაციო რაუნდი განახლდება. ამ დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქეები – ალბანეთი – უკრაინა და საბერძნეთი – დანია შეხვდებიან ერთმანეთს, ჩვენი გუნდი კი ახალ სეზონში ლიგველებთან ამხანაგური მაგჩით ჩაებმება. ბალტიისპირელებთან სპარინგი 19 საათზე „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართება, ხოლო მანამდე – 15 საათზე, სავარაუდოდ ეროვნულ სტადიონზე ამავე ქვეყნების ახალგაზრდულ ნაკრებთა დუელია დანიშნული.

გუშინ საქართველოს ფუხბურთის ფედერაციაში მოწვეულ პრესკონფერენციაზე „ჯვაროსანთა“ ფრანგმა თავკაცმა რჩეულთა შემდეგი ნუსხა წარმოგვიდგინა:

მეკარეები: დევაძე, ლომაია.

მცველები: მეაბანაძე, ამისულაშვილი, სალუქვაძე, შამიაშვილი, კვარაცხელია, ოდიკაძე.

ნახევარმცველები: მაღრაძე, მენთეშაშვილი, კვირკველია, გოგობერიშვილი, ასათიანი, გოგუა, ქინქლაძე.

თავდამსხმელები: დემეტრაძე, ჯაკობია, გიგიაძე, აშვეთია (დაგვეთანხმებით, ეს ერთგვარი ექსპერიმენტული კრებულია – **რედ**).

ჟურნალისტებთან დიალოგი მუსიე ჟირესმა ლადო ბურდულისადმი მისამძიმრებით დაიწყო ოჯახური ტრაგედიის გამო (მისი მეუღლის დაღუვასთან დაკავშირებით) და შემდეგ ძირითად სათქმელზე გადავიდა:

– მართალია, ამჯერად შეგნებულად არ გამოვიძახე იგანიის, ვერმანიისა და შოტლანდიის კლუბები მოსაპარეზე ლეგიონერები, მაგრამ გუნდის მთავარი ბირთვი და სამომქმედო სტრატეგია უცვლელი რჩება. რაც შეეხება დებიუტანტებს, ისინი თანდათან შეეჩვევიან სანაკრებო აგმოსფეროს;

– შეკრებაზე კვირას, 12 საათზე გადავალთ, ორშაბათს კი უკვე ყველანი თბილისში იქნებიან. ალბათ, დაგაინტერესებთ ქინქლაძის დბრუნების მიზეზი. ესაა მისი მდიდარი წარსული და ძვირფასი გამოცდილება;

– მეგოქეს მხოლოდ საკალათბურთო გრადიციებით და საბონისით ვიცნობთ. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, სერიოზულად კი მოგახსენებთ, რომ სტუმართა ლეგიონერები ისეთ სოლიდურ კლუბებში თამაშობენ, რითაც ყველაფერია ნათქვამი;

– თბილისს „დინამომ“ გაითვალისწინა ნაკრების ინტერესები და კვირკველია-შამიაშვილს სამშობლოში ტოვებს, ხოლო სალუქვაძე კვირას შემოგვიერთდება;

– ბევრი მსმენია მოსკოვის „ლოკომოგივის“ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებული მათე ღვინიანიძის თაობაზე. მისი ახალგაზრდულ ნაკრებში მოწვევა საეჭვოსხმო ფაქტია;

– სამწუხაროა, რომ ტრავმის გამო მოწვეულთა სიიდან გახოკიძე ამოვარდა. მისი თამაშის სანახავად ჰოლანდიაში ჩემი თანაშემწე ვეა ბურული იმყოფებოდა. ეოგა ძალიან ვანიცდის მომხდარს. მას კიდევ მივცემ შანსს.

დაბოლოს: საქართველოს ნაკრებმა უეფას შარშანდელ რეიტინგში ერთბაშად 9 საფეხურით აიწია და ამჟამად 30-ე ადგილზეა.

პაატა გიაშვილი.

⊙ მძლეოსნობა

რეკორდებით დაიწყეს

ქართველმა მძლეოსნებმა ახალი სპორტული სეზონი თეირანის (ირანი) საერთაშორისო ტურნირში მიღწეული გამარჯვებებით გახსნეს. ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე იულია დუბინამ სამმაგ ხტომაში 13 მეტრი და 41 სანტიმეტრი აჩვენა, რითაც საქართველოს რეკორდი დაამყარა. მარიამ ქევხიშვილმა ბირთვი 15 მეტრსა და 11 სანტიმეტრზე ჩკრა და მანაც ოქროს მედალი დაიმსახურა.

„შევარდენის“ მანეჟში კი თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის (თავმჯდომარე – გიორგი უდენსანი) თაოსნობით გაიმართა მძლეოსანთა დედაქალაქის ზამთრის ღია ჩემპიონატი, რომელშიც 15 რეგიონის 300-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. ბადრის ტყორცნაში საქართველოს ჭაბუკთა რეკორდი (48,96 მ) დაამყარა თბილისის მესამე გიმნაზიის X კლასის მოსწავლემ გიორგი ბედოშვილმა (მწვრთნელი გივი ბედოშვილი). უწინდელი რეკორდი ეკუთვნოდა (1968 წელს დამყარებული) თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის თავმჯდომარის მოადგილეს ზაზა დოლიძეს, რომელმაც პირველმა მიულოცა ბედოშვილს წარმატება. ამ უკანასკნელმა ბირთვის მკვრელთა ტურნირიც მოიგო.

დანარჩენ სახეობებში პირველ ადგილებზე უმთავრესად რაიონებიდან ჩამოსული სპორტსმენები გავიდნენ. ზუგდიდელი თენგიზ ღვინჯილია საუკეთესო იყო 400 მეტრზე რბენაში, მისმა თანაგუნდელმა ბექარ დანელიამ პირველი ადგილი სამმაგ ხტომაში დაიკავა. ვაჟთა შორის 60 მეტრზე თარჯრბენი მოიგო ფოთელმა ზურაბ აფხაზავამ. მისმა თანაქალაქელმა ევგენია ჩერნოვიაკოვამ სამხტომაში იმარჯვა. ახალციხელმა ლუდვიგ ბილბერშტეინმა პირველი ადგილი არავის დუთმო 400 მეტრზე რბენაში. აფხაზეთის წარმომადგენელმა ანა უთიანელმა გაიმარჯვა შუბის ტყორცნაში. ნანა თაორულაიძემ (ახმეტა) ყველას აჯობა 1500 მეტრზე რბენაში. ამავე მანძილზე პირველი იყო დუშელი გიორგი შეკრილაძე. ბადრო ყველაზე შორს ფოთელმა დავით შონიამ გაგზავნა. თბილისელთაგან პირველ ადგილებზე გავიდნენ ნინო ელიზბარაშვილი (ბადროს ტყორცნა), სოფიო მანუკიანი და დავით ცუცქირიძე (ორივე – 60 მ. რბენა).

საუკეთესო მძლეოსნები პრიზებით დაჯილდოვდნენ.

შალვა ჩიხლაძე.

სურათზე: ზაზა დოლიძე პრიზს გადასცემს გიორგი ბედოშვილს; ასპარეზობის მომენტი.

რობერტ ბაგრიანის ფოტო.

⊙ ტყვიის სროლა

სალუქვაძე მესამეა

მიუნხენში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი პნეუმატური პისტოლეტიდან სროლაში. პირველობისთვის სხვებთან ერთად ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძეც იბრძოდა. ფინალში მან საკვალიფიკაციო მონაგარს მხოლოდ 99,4 ქულა მიუმატა და საბოლოოდ 485,4 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. ქართველ ჩუბინს უნგრელმა დოროთია ერდოშმა (486,3) და დანიელმა ევროპის ჩემპიონმა სუსანა მაიერჰოფმა (485,6) გაუსწრეს.

შეჯიბრებაში თბილისელი სერგი ჩიგაიშვილიც გამოდიოდა. მან 82 მონაწილეს შორის 76-ე ადგილი დაიკავა.

⊙ ჭრელაჭრელა

მსაჯმა მინდვრიდან თავი გაიძევა (?!)

შეხბურთის ისტორიაში ეს უჩვეულო ამბავი მოხდა ინგლისის სამოყვარულო, ან, როგორც იქ ეძახიან, „საკვირაო“ ლიგაში, „პიტერბორო ნორგენდისა“ და „როიალ მეილის“ შეხვედრაში. მაგჩის მსაჯმა ენდი ვეინმა 63-ე წუთზე წითელი ბარათის ჩვენებით საკუთარი თავი გაიძევა მინდვრიდან.

სწორედ 63-ე წუთზე „როიალ მეილმა“ გოლი გაუტანა „პიტერბოროს“ და ანგარიში 2:1 გახადა. თუმცა ამ უკანასკნელის მეკარემ რიჩარდ მაკგაფინმა მიიჩნია, რომ ბურთი წესების დარღვევით გაუტანეს და ყველაფერი მსაჯს გადაუბრალა. ვეინიც ვალში არ დარჩა. 39 წლის არბიტრმა, რომლის ძირითადი პროფესია ტრეილერების მძღოლობაა, უცენზურო სიტყვებით შეამკო მეკარე, მაგრამ, უცებ გონს მოეგო, ამოიღო წითელი ბარათი და საკუთარ თავს უჩვენა. შემდეგ ჩასტვინა, თამაში შეწყვიტა და მინდორი დატოვა.

„ყოველივე ამის შემდეგ მე არ მქონდა მინდორზე დარჩენის მორალური უფლება. ჩემს მაგიერ ასე ფეხბურთელი რომ მოქცეულიყო, ის ხომ უნდა გამეძევებინა, ამიტომ საკუთარ თავს სამართლიანი სასჯელი გამოვუტანე“, – განმარტა თავისი საქციელი ვეინმა.

ახლა ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია სწავლობს ამ ინციდენტს. თავად არბიტრი თავს იმით იმართლებს, რომ მასა და მის ოჯახს ბოლო სანებში ბევრი უბედურება დაატყდა თავს – ცოლს კიბო აღმოაჩინდა, ცოტა ხნის წინათ დაკრძალა გულის შეტევით გარდაცვლილი 38 წლის მეგობარი, ხოლო მაგჩის წინადღეს სიმამრი გარდაეცვალა.

უარი თქვა სექს-სიმბოლოს ფულზე

ეროტიკული მოგებებით დორგმუნდის „ბორუსიამ“ უარი თქვა შეთავაზებულ ფინანსურ დახმარებაზე, რაც მას ევროპაში უმსხვილესმა Sex-shops კომპანია – ოპერაგორმა Beate Uhse აღუთქვა.

ეს კომპანია, დიდი ხანია, ითვლება ევროპის სექს-სიმბოლოდ. ის მსოფლიო ეროტიკული საქონლის ბაზარზე მეორე ადგილზეა Playboy Enterprises შედეგი. თუმცა „ბორუსიამ“ უარი თქვა ასეთ თანამშრომლობაზე, სამაგიეროდ მას იოლად დათანხმდა „ფორმულა-1“-ის პილოტი რალფ შუმახერ-უმეროსი, რომელმაც მილიონი დოლარი ჩადო ამ საქმეში.

კონცერტს Beate Uhse ასზე მეტი მაღაზია აქვს ევროპაში (გერმანიის გარდა, ავსტრიაში, პორტუგალიაში, უნგრეთში, პოლონეთში, იგალიაში, შვეიცარიაში, ბენილუქსისა და სკანდინავიის ქვეყნებში), ის განაგებს კინოთეატრებს, საგელეევიზიო არხს გერმანიაში, საერთაშორისო საამანათო ვაჭრობას და ბერლინის სექს-მუზეუმს. მისი მაღაზიების ასორტიმენტში 8 ათასამდე დასახელებაა – პრეზერვატივებიდან დაწყებული ვიდეო-სახელმძღვანელობით და სექს-სათამაშოებით დამთავრებული. მარტო 2002 წელს კომპანიის სავაჭრო ბრუნვამ 244,5 მილიონი ევრო შეადგინა.

საჩოგბურთო ელიტა



ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე ბრწყინვალე გამარჯვებამ რუსეთელი მარატ საფინი წლევანდელი შედეგების მიხედვით პროფესიონალ ჩოგბურთელ ვაჟთა მსოფლიო რეიტინგის სათავეში მოაქცია – 200 ქულა, შემდეგ მოდიან ლიდერის მეგოქე ავსტრალიურ ფინალში ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) – 183, პირველიდან მესამე ადგილზე ჩამოქვეითდა შვეიცარიელი როჟე ფედერერი – 140. პირველ ათეულში არიან აგრეთვე როდიკი (აშშ), დავიდენკო (რუსეთი), ო. როხუსი (ბელგია), ი. ოუჰანსონი (შვედეთი), ჰრბაკი (სლოვაკეთი), ნალბანდიანი (არგენტინა) და აგასი (აშშ).

52-კვირიანი შედეგების მიხედვით კი კვლავ ფედერერი ლიდერობს. პირველ ათეულში არიან აგრეთვე ჰიუიტი, როდიკი, საფინი, კორია, მოია, ჰენმენი, გაუდიო, ნალბანდიანი და აგასი.

ავსტრალიის ქალთა ფინალში დამარცხების მიუხედავად დევენპორტმა (აშშ) მაინც შეინარჩუნა რეიტინგის ლიდერობა, მეორე ადგილზე გადაინაცვლა სერენა უილიამსმა (აშშ), მესამეზეა მორესმო (საფრანგეთი), მეოთხეზე – შარაპოვა, ხოლო მეხუთეზე – მისკინა.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 25, ოთხშაბათი, 2 თებერვალი, 2005 წელი.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

გამოჩენილი ქართველი მეტყველი მიხეილ მურვანიშვილი და მისი მეუღლე ბაბო გულისამშვილი. პატარა ირაკლისა და ქაიხოსროს ჯერ მხოლოდ ერთი და – ქეთევანი – ჰყავთ (მომავალში – ცნობილი ოფთალმოლოგის ციალა შურღაიას დედა და გამოჩენილი ფეხბურთელის დავით ყიფიანის ბებია).

გადაღებულია 1905 წელს.

მოგვაწოდა შვილიშვილმა ნანა ჯიბუტმა.

გიხარიან!

გია ნატროშვილი ზაზა გახდა

რაიონში გია ნატროშვილს სიყვარულით ყველა მამის სახელით მიმართავს. იგი, როგორც მისი მოყვარე ილია, წარმაგებული ფერმერია. მათი შვილების თეონასა და სოსოს სიყვარული ქორწინებით დამთავრდა.

ამ დღეებში თბილისის სამშობიარო სახლ „ორიონში“ თეონას პირველი შვილი ანა შეეძინა. პაპებსა და დიდედებს – გიასა და მარინას, ილიასა და ლიას პირველი შვილიშვილის შეძენა მიულოცეს შუს „გვანცასა“ და რაიონის საავადმყოფოპოლიკლინიკური გაერთიანების თანამშრომლებმა, – გვაცნობა დედოფლისწყაროდან ჩვენმა საკუთარმა კორესპონდენტმა **ნანა ჭიჭინაძემ.**

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

ცოტაც გავიღიმოთ...

— ეძიმო, შეშფოთებული ვარ!

— რაშიასაქმე?

— უკვე რამდენიმე დღეა მეჩვენება, რომ ყველაფერში, რასაც ჩემი ცოლი ამბობს, რაღაც გარკვეული საღი აზრი დევს...

* * *

რატომ ფიქრობს ყველა, რომ რუსები ქურდობენ?

რაო, ამერიკაში არ ქურდობენ? რაო, ამერიკაში არ არიან რუსები?

* * *

— დაწერეთ დიაგნოზი, თავის ქალის ტრავმა, — ეუბნება ექიმი ექთანს.

— ექიმო, ჩემი აზრით, უკეთესი იქნება, თუ დავწერთ თავის ქალისა და ტვინის ტრავმას...

— მაგრამ იგი ხომ სახლში მთვრალი და საყვარელთან ერთად მივიდა, რომელ ტვინზე შეიძლება აქ ლაპარაკი?

* * *

— არაუშავს გაქვთ? — კითხულობს კაცი მაღაზიაში.

— არა.

— ძალიან კარგი, მასეც გეკუთვნით!

გამოსათხოვარი

მშვიდობით-მეთქი, ვერ გეტყვით...

რა უნდა დავწერო ქართლოს კასრაძეზე, როგორ მოვეფერო, როგორ გავაცილო, როგორ გავიხსენო... განა ეყოფა გამეთის მცირედი გვერდი! არადა, მოვალე ვარ, მოვალე მთელი ცხოვრების მანძილზე. ან როგორ მოვიხსენიო... ბაგონო ქართლოს!.. ქართლოს ბიძია!.. ჩემო ქართლოს თუ?..

ტრაფარეტული გამოვა – „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“... იგი თავისი იუმორით, ქალაქელობით, სიყვარულით, თბილისური კოლორიტით, ვერული დარდიმანდობით მთელ საქართველოს დააკლდა. აღარა ჰყავს საქართველოს „იუმორის მამა“.

„არიოლ-რეშკასავითა ვაარო“, – მითხრა ერთხელ. მიეხვდი მის ნათქვამს – მედალს ხომ ორი მხარე აქვს. ქართლოსის იუმორსა და „ღადავს“ მიჩვეული, მის სევდას ვერავინ ხვდებოდა. არც აგრძნობინებდა არავის დარდსა და ტკივილს, ის მისი საგარეულ-გასათავისებელი იყო. განა დაჯერებდი ვინმეს, რომ ქართლოს კასრაძეს ცრემლიანი თვალები ჰქონდა? განა დაჯერებდი ვინმეს, რომ მოყვასის სევდის გათავისებით ღამეების გათენება შეეძლო? განა დაიჯერებდა ვინმე, რომ ქართლოს კასრაძე დარდიანი იყო?

„არიოლით“ თუ სიცილი, ხუმრობა, ღიმილი, სევდა-ნაღველის გაქარვება სჩვეოდა, „რეშკით“ ცრემლს გადენდა, პაგარა ბიჭივით დაგესაქმებოდა, ღამეებს ბიბლიოთეკიდან წამოღებულ წიგნებში აგარებდა, ცხონებული მამის არქივებში იქექებოდა, რომ დიდი დავით კასრაძის აჩრდილი გაეცოცხლებინა, მისი წიგნები გამოეცა, თავისი გვერდით გადაედო. უმცროს მეგობრებს თანაგოლივით ელოლიავებოდა და... ალბათ ამანაც ჩამოადნო, ჩამოღვენთა სანთელივით, და განა ეს ცოტაა...

– „ვერის უბანი მომენაგრა და შენთან გამოვედიო“, – მეტყოდა რედაქციაში ამოსული, თითქოსდა რედაქცია ცხრა მთას გადაღმა ყოფილიყო, ანდა თვითონ აქვე არ გაეგარებინოს მთელი სიცოცხლე. წამაქეზებდა – „ვერავინ გამიკეთა წიგნი და იქნებ შენ წამეხმაროო“.

ეჰ, ვიცოდი ჩემი მოფერება უნდოდა... მისი „ფარნავაგი“, „სოსელო“, „ლონგინოსის შუბი“ მომანდო – „აბა, ბიჭო სხვებმა არ გვაჯობონო“. თავად ათია ღამეები, ტიგანური შრომა ჩასდო და... მერე მომართვა ფურცელ-ფურცელ აკინძული, თავის ხელით სურათებჩაკრული, პაგარა ბავშვებმა რომ იციან ისე, თითქოსდა პოლიგრაფია საქართველოში არც არსებობდეს.

„ეს რაა, ძია ქართლოს, ეს რა გიქნია, რა გაწვალებულხარ, ამას ხომ ორ დღეში გავაკეთებდით-მეთქი, ვუთხარი“.

გაეღიმა. – ორი დღე და გადადებული საქმე თქვენია, იუმგარ, მე რა ვიცი, ორ დღეს გავძლებ? შენი გადამკიდე ისევ საკუთარი ხელით უნდა ავკინძო. მერე სტამბიდან წებო-საღებავშეუშრობელი „სოსელო“ მომგანა. თითქოს მისი პირველი წიგნი ყოფილიყოს, ისეთი აღტაცებით. სხაპასხუპით ათითოდ ახალი ანეკდოტი და ძველებიც მოაყოლა, მაცინა, გამახალისა და წიგნი მისახსოვრა. ჩვენი ურთიერთობიდან გამომდინარე წარწერა არც წამიკითხავს. მეორე დილით ვერის უბანში შეეხვედი. თვალებში ვიგყობდი, იმის იშგაზე იყო, რას ვეტყოდი. თქვენც ნახავთ რა წაუწერია... რა უნდა მეთქვა, ალბათ, იმასაც მიხვდებით.



* * *

ორი დღის წინათ ამოვიარე თქვენს სახლთან მეგობრებთან ერთად. შევიდეთო, მითხრეს... არ შემოვედი. განა ვერ... არ... არ შემოვედი. ალბათ ისეთი უნდა დარჩენილიყავით ჩემს მეხსიერებაში, თხუთმეტი წლის ბიჭმა რომ გაგიცანით და ბოლომდე ისეთივე მინდოდა ყოფილიყავით.

მშვიდობით-მეთქი, ვერ გეტყვით... გმადლობთ! გმადლობთ ყველაფრისთვის, იმ დიდი სიყვარულისა და იმ მეგობრობისთვის, რაც მაგრძნობინეთ და გამიწიეთ, რითაც გამათამამეთ, მომეფერეთ და... გიბოდიშებთ, რომ მოუფერებელი გაგიშვით, ბაგონო ქართლოს!

მამუკა ვაშაკიძე.

პრემიერის წინ

ძოლკოიში ძიძოლკინტკი ქართლაკი ხმები შეიკრიბნენ „ოდა“ გარეთ

პირველი საოპერო პრემიერა, რომელსაც თბილისის მ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ახალი ხელმძღვანელობა უახლოეს დღეებში გვთავაზობს, მსოფლიო საოპერო ლიტერატურის ჭეშმარიტად გენიალური ქმნილება, ჯუზეპე ვერდის „აიდა“ გახლავთ. როგორც სადაღმო ჯგუფი – დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი, რეჟისორი დავით საყვარელიძე, მხატვარი პოლინა რუდჩიკი და ქორეოგრაფი ირაკლი შენგელია გვპირდება, დადგმა სრულიად ახალია მუსიკალური გააზრებით, რეჟისურით, მხატვრობით, კონცეპტუალური და ვიზუალური თვალსაზრისით. თუმცა იგი არ სცილდება კლასიკური დადგმის ჩარჩოებს. მცირე დროში მიზანსწრაფულად იმუშავეს არა მარგო დამდგმელთა ჯგუფმა, არამედ მთელმა თეატრმა.

ზაზა აზმაიფარაშვილი: „ჩვენი დანაპირები ავასრულეთ და ბოკლე დროში საკმაოდ რთული სპექტაკლი მოვამზადეთ. ყველამ ერთსულოვნად იმუშავა და ბედნიერი ვარ, რომ გუნდი

შეიკრა. ჩვენ გვსურდა ყველა წარმოჩენილიყო და თითოეულს თავისი შესაძლებლობები გამოვევლინა. რაც შეეხება არჩევანს, „აიდას“ დადგმა ყველა მუსიკოსის ოცნებაა და არც მე ვარ გამონაკლისი“.

დათო საყვარელიძე: „ძალიან მიყვარს ეს ნაწარმოები, მის დადგმაზე უარს არავინ იგყოდა. თეატრის გაზრდილი, გადახალისებული ორკესტრი და გუნდის ჟღერადობა ჩემს წარმოსახვაში გააზრებულს ესადაგებოდა. ძალიან გვინდოდა წარმოდგენა მოძრაგი და „ცოცხალი“ გამოსულიყო, ლიბრეგომ ამის შესაძლებლობა მოგვცა. დადგმაში მოვერიდეთ სგაგიკურ მიზანსცენებს. თქვენ წარმოიდგინეთ, სერვისიც განვაახლეთ, მაგალითად აფიშის პროგრამის, ბილეთების დიზაინიც კი „შევცვალეთ“.

სპექტაკლის ხორცშესხმაზე ასი ათასამდე ლარი დახარჯა ჯერჯერობით და ეს ბიუჯეტიდან კი არა, თეატრის შემოსავლებიდან მოხერხდა. ბილეთების ღირებულების გაზრდას თეატრის ხელმძღვანელობა ნამდვილად არ აპირებს, რადგან მისი სურვილია, დაიბრუნოს ის მაყურებელი, რომელიც ჰყავდა.

„აიდა“ თბილისურ სცენაზე ახსოვთ თობებს და მათი შეფასება ფრიად საყურადღებოდ მიაჩნიაათ დამდგმელებს.

საპრემიეროდ სადაღმო ჯგუფი სასიამოვნო სიახლესაც გვთავაზობს. მან მთავარ პარტიებში მონაწილეობისათვის მოიწვია ის ქართველი მომღერლები, რომლებიც დღეს ევროპისა და ამერიკის წამყვან საოპერო სცენებზე მოღვაწეობენ. თითოეულ პარტიას სამსამი შემსრულებელი ჰყავს და ისინი რიგ-რიგობით წარსდგებიან აუდიტორიის წინაშე. ზოგს კარგად იცნობს ჩვენი მსმენელი, ზოგსაც პირველად შეხვდება. მაგალითად, აიდას პარტიაში შედგება ნანა ქავთარაშვილის თბილისური ღებიუტი. მან თერთმეტი წლის წინათ დაგოვა თბილისი და პროფესიული დახელოვნება გაიარა იგალიაში, სიენას, პარმას, ვერონის სტუდიებში. პარმას საოპერო თეატრში მისი პედაგოგი იყო რენატა სკოტო; იტალიის საუკეთესო სკოლაგამოვლილი ვოკალისტისთვის თვით „აიდას“ პარტიაც სადებიუტოა. მეორე სპექტაკლში მას შეენაცვლება ჩვენთვის ცნობილი ირინე რაგიანი, რომლის შემოქმედებითი მოღვაწეობა ძალზე შთამბეჭდავია. მას უკვე კარგად იცნობენ მსოფლიოს მთელი რიგი ქვეყნების საოპერო ხელოვნების მოყვარულნი. აიდას როლში დებიუტი ექნება ჩვენი თეატრის ახალგაზრდა სოლისტს, ნოდარ ანდღულაძის აღზრდილს მაყვალა ასპანიძესაც.

რადამესის შემსრულებლად მოწვეული არიან ვალერიანო (ნუგზარ) გამგებელი და გიორგი ონიანი. ვალერიანო გამგებლის ხელოვნება თბილისელთათვის კარგად არის ცნობილი. ჩვენს საოპერო სცენაზე არაერთი პარტია აქვს ნამღერი. დღეს მის ხელოვნებას ფართოდ ეცნობა ესპანეთის, საფრანგეთის, პორტუგალიის, იგალიის აუდიტორია. სხვათა შორის, 2000 წელს პარმაში ფონტაბელოს ფესტივალზე წარმოდგენილ „აიდაში“ შესრულებულმა რადამესის პარტიამ გამგებელს იტალიელ მსმენელთა და კრიტიკოსთა დიდი აღიარება მოუგანა.

გიორგი ონიანმა 2001 წელს დამთავრა თბილისის კონსერვატორია ნოდარ ანდღულაძის კლასით. მიუხედავად „ლა სკალაში“ სტაჟირების შემდეგ აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას მისდევს სხვადასხვა ქვეყანაში. აქვს მრავალფეროვანი რეპერტუარი. ამ ორ როლამეს ჩვენი თეატრის სოლისტი გიორგი გაბელაია შეეწევა.

ამნერისის პარტიებზე მოწვეულნი არიან მზია ნიორაძე და ელენე პუტილოვა, მზია ნიორაძე სანკტ-პეტერბურგის მარიას თეატრის მოწვეული მსახიობია. ამ თეატრში იგი ასრულებს ყველა წამყვან პარტიას ვერდის ოპერებში, ასევე მეცო-სოპრანოსა და კონტრალტოს წამყვან როლებს რუსული რეპერტუარიდან. საკმაოდ შთამბეჭდავი რეპერტუარით იგი მეტროპოლიტენ ოპერის, სან-ფრანცისკოს, ლიონის თეატრების ხშირი სტუმარია. რაც შეეხება ელენე პუტილოვას, თბილისის ვოკალური სკოლის აღზრდილი 2004 წლიდან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. მოწვეულთა შორის არის ირაკლი გრიგალაშვილიც. იგი ამონასაროს სახეს შექმნის.

მსოფლიო საოპერო სცენებზე მოღვაწე ქართველ მომღერალთა გვერდით სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი თეატრის ახალგაზრდა ვოკალისტები გოჩა დათუსანი, ნინო მაჩაიძე, ნინო ლეკვა, სოფიკო ჯანელიძე და სხვები.

„ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ რა სიმდიდრის პატრონები ვართ, როგორ დაგვაჯილდოვა ბუნებამ კარგი ხმებით, რით აჯადოებენ ისინი მსოფლიოს და რა მნიშვნელოვან პროექტებში მონაწილეობენ. თბილისელი საზოგადოებრობა მოკლებულია მათი ხელოვნებით ტკბობის საამოვნებას. ჩვენ ვაჩვენებთ რა პერსპექტიული ახალგაზრდობა გვყავს“, – აღნიშნეს დამდგმელებმა პრემიერის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

ხსოვნა

ჯიმშერ წიქარიძე

მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფ. თავაძის სახელობის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის ლვაწმოსილი თანამშრომელი, ყველასათვის უსაყვარლესი ადამიანი, ჭეშმარიგი მოქალაქე და ბრწყინვალე პიროვნება **ჯიმშერ წიქარიძე.**

ბუნებამ უხვად დაჯილდოვა ჯიმშერი გარეგნული სილამაზით, ძლიერი სულით და უმაღლესი ზნეობით. მას გამოარჩევდა მაღალი ინტელექტი და განსწავლულობა, ინტელიგენტურობა, ფაქიზი დამოკიდებულება კოლეგებისა და მეგობრების მიმართ და გასაოცარი უანგარო სიყვარული. იგი უაღრესად გულთბილი, ყურადღებიანი და მოკრძალებული იყო ადამიანებთან ურთიერთობაში.

მოწოდებით პედაგოგი იყო და განსაკუთრებით უყვარდა ბავშვები. მისი აღზრდილები სწავლობდნენ არა მარგო ფიზიკას, არამედ წესიერებას, ზრდილობას, პატრიოტიზმსა და სიყვარულს მოყვასისადმი. ღღეს ბევრი მათგანი ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქეა.

ჯიმშერი მშვენიერად იცნობდა ქართულ და რუსულ ლიტერატურას, ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“ და უამრავი ლექსი. გასაოცარი მახსოვრობა ჰქონდა და იყო ბრწყინვალე მთხრობელი – მისი ობიელი იუმორით შეზავებული ზეპირი მოთხრობები ლიტერატურული ჩანახატების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენდნენ.

შესანიშნავმა ადამიანურმა თვისებებმა განაპირობა მისი უზარმაზარი ავტორიტეტი. ჯიმშერს პატივს სცემდნენ, აფასებდნენ და უყვარდა ყველას – ქალს, კაცს, ბავშვს თუ მოზრდილს – ყველას, ვისაც ჰქონდა ბედნიერება მასთან ურთიერთობისა. მის პიროვნებას განსაკუთრებულად მამმიდველი და მომჯადოებელი ძალა ჰქონდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჯიმშერი თავისი მეგობრების, კოლეგებისა და ამხანაგების აღიარებული სულიერი ლიდერი იყო.

ჯიმშერის მოულოდნელი გარდაცვალებით თავმარდაცემულნი ალბათ ვერასდროს მოვიშუშებთ ნაიარევ გულს და მისი დაკარგვით განცდილი ტკივილი ცხოვრების უკანასკნელ წუთამდე გაგვყვება.

ნათელი დაგადგეს წმინდა სასუფეველში, ნათელო კაცო!

მეგობრები და კოლეგები.

მეუღლე თალიკო ჯაველიძე, შვილები მერაბ, გურანდა, ნაის, დავით კასრაძეები, სიმეები ზაზა შავთვალიშვილი, დავით ლანჩავა, რძლები მარიკო ჩოღრიშვილი, თეა პაიჭაძე, შვილიშვილები ქართლოს, ოთარ, ფორნიკე, ნიკა, ანდრია კასრაძეები, ნანა, ბაკურ, სანდრო ლანჩავები, დიმიტრი, ანტონ შავთვალიშვილები, შვილთაშვილები ნუციკო, გიორგი კასრაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქართლოს კასრაძე

პანაშვიდი 2 II, 16 სთ, მის: ბელინსკის № 45.
დაკრძალვა 3 II, 15 სთ, გამოსვენება დიდუბის ეკლესიიდან.

მარინე, ფერია ილაშვილები, არმაზ, სოფიკო პაიჭაძეები, ეკო, სოსო ამყოლაძეები იუწყებიან

ქართლოს კასრაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

არჩილ ფავლენიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ქართლოს კასრაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის ფ. თავაძის სახელობის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ლვაწმოსილი თანამშრომელი

ჯიმშერ წიქარიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 1, 2 II, 16 სთ, გამოსვენება 3 II, 14 სთ, მის: თბილისი, ირ. აბაშიძის ქ. 72

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი იუწყება, რომ დოცენტ გულნაზი ერქომაიშვილს გარდაეცვალა შვილი

მეღეა მახარაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ბოლოდროინდელი ამბები

სიმართლემ გაიმარჯვა

თბილისის 41-ე ბაგა-ბაღი ყაზბეგის გამზირზე № 32-ში მდებარეობს და დაარსებიდან 60 წელიწადს ითვლის. ქალბაგონი მაყვალა ჩუბინიძე უკვე 6 წელიწადია, რაც ამ ბაღის გამგეა. ბაგა-ბაღი თბილისის მერიის განათლებისა და საქალაქო სამსახურის ბალანსზეა.

სამენ მასალათა კომბინატის ყოფილი დირექტორის დავით სულაძის მიერ დაწყებული დავა შენობის დასაკუთრებაზე სასამართლომ უკვე აღასრულა. ბაგა-ბაღის თანამშრომლების, მშობლების თავდაუზოგავი ბრძოლის შემდეგ, საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით არსებული ბაგა-ბაღი კვლავ ქალაქის მერიის საკუთრებაში დარჩა.

– მადლობა მათ, ვინც ბავშვებზე იზრუნა და დაგვეხმარა, რომ არა მათი დახმარება, ბაგა-ბაღი ღღეს არ იარსებებდა და შენობა კერძო საკუთრებაში იქნებოდა, – თქვა ჩვენთან საუბარში ბაგა-ბაღის გამგემ მაყვალა ჩუბინიძემ.

რიტა ჩაკვეტაძე.

ლარის კურსი

2 თებერვლიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი

ინგლისური გირვ. კურსები		**3.4180**	**ლარი**
ამმ დოლარი	**1**	**1.8169**	**ლარი**
ევრო	**1**	**2.3690**	**ლარი**
რუსული რუბლი	**1**	**0.0650**	**ლარი.**

დღის კალენდარი 2 თებერვლისთვის

ამოდის 07.12
ჩადის 17.16
(ამოდის 00.31, ჩადის 10.48

წლის 33-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 332 დღე.

საეკლესიო კალენდარი

ღირსსა და ღმერთშემოსილისა მამისა ექვთიმე დიდისა (473). მოწამეთა: ვასასი, ევსები, ევგიქი, ბასილიდისა (303); ინნასი, პინასი და რიმასი (I-II).

დაიბადნენ:

1522 – ლუდოვიკო ფერარი, ცნობილი იგალიელი მათემატიკოსი. გარდაიცვალა 1565 წელს.

1700 – იოჰან გოგშედი, გამოჩენილი გერმანელი მწერალი. გარდაიცვალა 1766 წელს.

1769 – კლიმენტ XIII, რომის პაპი.

1829 – ალფრედ ედმუნდ ბრემი, ზოოლოგი, ავტორი მრავალტომიანი ნაშრომისა „ცხოველთა ცხოვრება“. გარდაიცვალა 1884 წელს.

1875 – ფრიც კრეისლერი, ცნობილი ავსტრიელი მევიოლინე, კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1962 წელს.

1882 – ჯეიმს ჯოისი, ირლანდიელი მწერალი. გარდაიცვალა 1941 წელს.

1883 – მიხეილ გნესინი, საბჭოთა კომპოზიტორი, პედაგოგი. გარდაიცვალა 1975 წელს.

1889 – კონსტანტინე ერისთავი, ქირურგი, აკადემიკოსი. გარდაიცვალა 1975 წელს.

1892 – ბორის კუფტინი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი. აღმოაჩინა და შეისწავლა თრიალეთის კულტურა. გარდაიცვალა 1953 წელს.

1901 – იაკობ ჰეიფეცი, ამერიკელი მევიოლინე.

1926 – ვალერი დესტენი, ფრანგი პოლიტიკოსი, საფრანგეთის პრეზიდენტი 1974-1982 წლებში.

1908 – სოლომონ ხუციშვილი, ლიტერატურის მკვლევარი, პროფესორი. გარდაიცვალა 1997 წელს.

1934 – ოთარ იოსელიანი, კინორეჟისორი, სცენარისტი.

გარდაიცვალნენ:

1907 – დმიტრი მენდელეევი, ცნობილი რუსი ქიმიკოსი, მეცნიერი, პედაგოგი.

1920 – რობერტ ედვინ პირი, ამერიკელი მკვლევარი, აღმირალი, მან პირველმა მიაღწია ჩრდილოეთ პოლუსს.

1970 – ბერგრან რასელი, ინგლისელი ფილოსოფოსი.

მოვლენები:

962 – რომში მეფედ აკურთხეს ოტონა I დიდი.

1709 – კუნძულ მასოტიერადან წამოიყვანეს ალექსანდრე სელკირკი, რობინზონ კრუზოს პროტოტიპი, რომელმაც კუნძულზე 4 წელზე მეტ ხანს იცხოვრა.

1852 – მამაკაცთა პირველი საზოგადოებრივი საპირფარეშო გაიხსნა ლონდონში ფლიტ სტრიტზე.

1924 – ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ოფიციალური ურთიერთობა დამყარდა.

1943 – დასრულდა სტალინგრადის ბრძოლა.

1989 – დასრულდა საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთის ათწლიანი ოკუპაცია.

ღირსსახსოვარი დღეები:

რუსეთი – სამხედრო დიდების დღე; აშშ, კანადა – ზაზუნას დღე.

მედია-ნიუსი.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
გონდო გულიაშვილი.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: **sakresp@gol.ge**
ვებ გვერდი: **www.open.ge/sakartvelos-respublika**